საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 1 თებერვალი, 2014 წელი.

№22 (7403)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„მხედრიონი“ — ბორბეების მხედრობა

9

დმერთმა რომ გარგუნა, რიგორ გამოიყენე ის ნიჭი და სიმტკიცე, ვანო?

3

„ჩემთვის მეტი საფრთხის შემცველია რუსეთის მე-5 კოლონა“

ბავშვებს — არა „ნადზირატელი“, არამედ დამცველი სჭირდებათ

5

კვირაძალს საკითხავი

„კარგად იცხოვრა, ვინც კარგად იღვაწა“

6

დღის ამფრაზურიდან

ხალხი მიდის და მილაპარაკობს...

მთელ საქართველოში მოსმენილი

— ხედავ, კაცო, ამ პოლიტიკურსინდისნამუს(გ)ჩარეცხილ ნაციონალებს, ჯერ ძველი ცოდვებისთვის არ უგიათ პასუხი და უკვე განახლებაზე დაიწყეს ლაპარაკი.

— აი, ნახავ, განახლდებიან კიდეც და ჩვენს ასახდენ ოცნებას ეგენი აიხდენენ.

— არა, ნამდვილად გაკვირვებული ვარ, ამ ევროპის ძახილ-ძახილში, მგონი, იმასაც ვკარგავთ, რაც 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში მოვიპოვეთ.

— მთავარსარდალი სააკანთ ბიჭი უკვე თეთრი სახლიდან აგზავნის მითითებებს. ის აგრე ადვილად ვერ შეელევა თავის თბილისურ მილიარდიან სასახლეს.

— კარგი, ჩემო ბატონო, ტარიფების განახევრებას და სხვა სოციალურ შემწეობას თუ ფული უნდა, სამართლიანობის აღდგენას ხომ ფული არ სჭირდება!

— ჰოდა, რა გახდა, რომ უკვე ორი წელიწადია, ვერც ერთი საქმე ბოლომდე ვერ იქნა გამოძიებული?

— ნუთუ, ბოლოს და ბოლოს, საშველი არ უნდა დაადგეს ზურაბ ჟვანიას საქმეს, სანდრო გირგვლიანის საქმეს, რობაქიძის, ვაზაგაშვილის საქმეებს, რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო.

— არა, ძმაო, ეს გულის გამაწვრილებელი ჯანჯალი როდემდე უნდა გაგრძელდეს?!

— ეს უკვე დემოკრატია აღარ არის. მოუსმინეთ ყოველდღე გვარამიას „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან ვაშაძეს, საყვარელიძეს, გაბაშვილს, ჯაფარიძეს და მიხვდებით, საით მიჰყავთ საქმე!

— ეს იგულავაა თუ უგულავა, მაინც რა გახდა. ანდა ეს ბერაჭიაშვილია თუ ჭიაბრიშვილი. ნუთუ ასე იოლად უნდა შეიტყაპუნონ ხალხის მილიონები?!

— ნეტავი გამაგებინა, ასე რამ შეაშინა და ასე რამ მოადუნა ეს ოცნებელები. რატომ ალაპარაკებენ ხალხს, ნაციონალებს შეეკვრნენო, უკვე იმათ დაკრულზე ცეკვავენო.

— არ მინდა, ეგ დავიჯერო, მაგრამ ჯერჯერობით მუსიკა მართლაც ნაციონალებისა ისმის, ცეკვით კი მეოცნებენი მართლაც „მიშურს“ ცეკვავენ. ყოველ შემთხვევაში, საქმე, დიდად სავალალოდ, სწორედ ასე გამოიყურება, რაც კარგს არაფერს არ გვიქადის...

— ის კი არა, მალე, ალბათ, ნაციონალების მთავარ ხაზინადარ კეზერაშვილსაც გამარჯვების გვირგვინს დაადგამენ...

— ფული ტრიალებს, ბატონებო, ფული, ცხრა წელიწადი წველეს მართლაც მეწველ ძროხად ქცეული საქართველო ამ ისეც გაღლეტილებმა და ასეც გაღლეტილებმა...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ SOS! SOS!

საქართველოში 164 სოფელი მთლიანად გაუკაცრიელდა!

მთის პრობლემასთან და პრობლემის გადაჭრის გზებთან დაკავშირებით „ქორთიარდ მარიოტში“ სპეციალური კონფერენცია მოეწყო. კონფერენცია სახელწოდებით „SOS საქართველოს მთა“ „დემოგრაფიული აღორძინების ფონდის“, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის ორგანიზებით ტარდება.

კონფერენციაზე განიხილეს მთაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა და დემოგრაფიული პრობლემები. ორგანიზატორთა თქმით, 2002 წლის მონაცემებით, საქართველოში 164 სოფელი მთლიანად გაუკაცრიელდა, ხოლო 152 სოფელში 10 და 10-ზე ნაკლები კომლი ცხოვრობს. ამ სოფლების უმეტესობა მთიანი სოფელია, ასევე უმძიმესი მდგომარეობაა საზღვრისპირა ზოლში, რომელიც თითქმის მთლიანად არის დაცლილი მოსახლეობისაგან. საუბარია ასევე ერთიანი დოკუმენტის შემუშავებაზე, რომელიც მომზადების შემდეგ კანონპროექტის სახით წარედგინება პარლამენტს.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებენ მთავრობისა და პარლამენტის წევრები, მთის პრობლემების გადაჭრის მიმართულებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ხელისუფლებას საკუთარ წინადადებებსა და მოსაზრებებს სთავაზობს. ამ თემაზე პატრიარქის სპეციალური წერილი „ქორთიარდ მარიოტში“ მიმდინარე კონფერენციაზე წაიკითხეს.

— გულითადად მოგესალმებით დღევანდელი შეხვედრის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს და გამოვხატავ ჩემს მადლიერებას მთის პრობლემების წინ წამოწევის გამო. ამ თემაზე გასულ წლებში არაერთხელ აღმინიშნავს ჩემს ქადაგებებსა და ეპისტოლეებში, მაგრამ სამწუხაროდ, შედეგი არ მოჰყოლია. ვიმედოვნებ, ეს კონფერენცია, ქმედითი ღონისძიებების საწყის ეტაპად იქცევა. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ პირველ რიგში, საკანონმდებლო ცვლილებებია განსახორციელებელი და სამუშაო ადგილები შესაქმნელი, რომ ხალხი დაინტერესდეს და მთისკენ იბრუნოს პირი. ვინ შეიძლება დასახლდეს აღნიშნულ რეგიონებში? პირველ რიგში, უნდა ვეცადოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დაბრუნდეს და თუ ამას ვერ მივაღწევთ, პირობები უნდა შეიქმნას, თუნდაც მათი ნახევარწლიანი მომთაბარე ცხოვრებისათვის, ანუ ნაწილობრივი დაბრუნებისათვის მიტოვებულ ადგილებში. კარგი იქნება, თუ დავასახლებთ (წინასწარი მომზადების შემდეგ) მშობლების მზრუნველობამოკლებულ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც 18 და მეტი წელი შეუსრულდა და რომელთაც აქამდე მოქმედი კანონმდებლობით, ფაქტიურად, ქუჩაში წასვლა უწევთ. შეიძლება ვიფიქროთ იმ ოჯახებზეც, რომლებმაც გაჭირვების გამო დაკარგეს სახლკარი და ღვთის ანაბარად დარჩნენ. ასევე სასურველია, მთის დაუსახლებელ ტერიტორიებზე მოეწყოს მიმაგრების ადგილები, რომ შედარებით მსუბუქი დანაშაულის მქონე ადამიანებმა მოიხადონ სასჯელი და თავისი შრომით წვლილი შეიტანონ მხარის აღორძინებაზე. რა თქმა უნდა, წინადადებები სხვაც ბევრი იქნება და ალბათ გაცილებით უკეთესიც, რაც ფრიად სასიხარულოა ჩვენთვის. მთავარია, რეალური ნაბიჯები გადაიდგას, რომ ქვეყანა დაცარიელებული მთიდან გამომდინარე უმძიმესი შედეგებიდან ვიხსნათ. ეკლესია მზად არის, შესაძლებლობისამებრ გვერდში დაუდგეს ამ საქმეს და თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს გადარჩენაში. ღმერთმა დაგლოცოთ ყველანი, ღმერთმა ააღორძინოს და გააძლიეროს საქართველოს მთა და ბარი, — აღნიშნავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ილია მეორემ სიმსივნით დაავადებული ბავშვები დალოცა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საპატრიარქოში სიმსივნით დაავადებული ბავშვები მიიღო და დალოცა. შეხვედრა ბერი ანდრიას სახელობის ფონდის და ეკის მამათა მონასტრის ბერის, ნაზარი ბასილაიას ორგანიზებით გაიმართა. შეხვედრას ფონდის წევრი, სხვადასხვა ორგანოს სიმსივნით დაავადებული 21 ბავშვი, მშობელი და მათი ექიმი ესწრებოდა, ასევე, ის მოზარდები, რომლებმაც სიმსივნე დაძლიეს და განიკურნენ.

პატრიარქის სტუმარმა პატარებმა აღნიშნეს, რომ მათთვის უწმინდესის ლოცვა-კურთხევა უმთავრესია, რაც ავადმყოფობის განკურნების იმედს აძლევს. შეხვედრაზე ის ფაქტებიც გაიხსენეს, როდესაც უწმინდესის ლოცვით და რწმენით ადამიანებმა სიმსივნის სენი დაძლიეს. კერძოდ, პატრიარქის ექიმმა ცისანა შარტავამ გაიხსენა შემთხვევა, როდესაც უწმინდესი ლიმფური ჯირკვლის სარკომით დაავადებულ პატარას დაავადების ადგილზე შეეხო და დალოცა. ცისანა შარტავას თქმით, ბავშვს ოპერაცია აღარ დასჭირვებია, იგი განიკურნა. „მე არაფერ შუაში ვარ, მე თვითონ სამკურნალო ვარ. ყველაფერი ღვთისაგან ხდება, — აღნიშნა ილია მეორემ.

ბავშვებმა პატრიარქს საკუთარი ლექსები წაუკითხეს, სიონის ვაჟთა გუნდმა კი ხალხური სიმღერები შეასრულა.

◎ ვინ — ვის?

გამომცემლები და განათლების სამინისტრო სასამართლოს წინაშე...

თბილისის საქალაქო სასამართლოში საავტორო უფლებების აღდგენისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხზე გამომცემლობებსა და საქართველოს განათლების სამინისტროს შორის არსებული დავის განხილვა დაიწყო, თუმცა, 30 იანვარს პროცესი მალევე დასრულდა — სასამართლომ საქმეში მესამე მხარედ განათლების ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ჩართვა მოითხოვა. დავა კი განათლების სამინისტროსა და გამომცემლობებს შორის მას შემდეგ ატყდა, რაც სახელმწიფომ სახელმძღვანელოების ბეჭდვის ექსკლუზიური უფლება 4 სტამბას მიანიჭა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელით 4-მა გამომცემლობამ მიმართა. გამომცემლობები „ინტელექტი“, „დიოგენე“, „არტანუჯი“ და „ლოგოს პრესი“ ამბობენ, რომ განათლების სამინისტრომ, მათ მფლობელობაში არსებული საავტორო უფლებების მითვისებით, გამომცემლობებს სოლიდური ზიანი მიაყენა. გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორის კახმეგ კუდავას თქმით, ზარალი სამი კატეგორიისაა:

„პირველი კატეგორია ეს არის დამდგარი ზარალი, — ასე ეძახიან იურისტები, — რომელიც ამ წელს მოგვადგა ჩვენ. მეორე მოსალოდნელი ზარალი, გრიფირების ვადით რაც მოგვადგა, და მესამე, რა თქმა უნდა, მორალური ზარალი: ჩვენს საწინააღმდეგოდ თავად განათლების მინისტრიც გამოდიოდა და ჰ ყვებოდა ზღაპრებს იმის შესახებ, რომ ჩვენ ცუდი ხალხი ვართ და ცუდად ვიქცეოდით თითქოს“.

კახმეგ კუდავას თქმით, ამ ეტაპზე პირველი ორი კატეგორიის ზარალის ანაზღაურების საკითხი განიხილება. გამომცემელი ამბობს, რომ გასულ წელთან შედარებით მარტო „ინტელექტის“ შემოსავლები 90 პროცენტითაა შემცირებული. შემცირდა თანამშრომელთა რაოდენობა, 4 თვით იყო დახურული გამომცემლობის სტამბა და სხვ. ასეთი შედეგი მოჰყვა გამომცემლობა „ინტელექტისთვის“ საქართველოს მთავრობის ინიციატივას, რომელიც საჯარო სკოლებისთვის უფასო სახელმძღვანელოების დარიგების გადაწყვეტილებას შეეხება. გადაწყვეტილების შესახებ განათლების ყოფილმა მინისტრმა, საქართველოს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 2013 წლის 8 აპრილს განაცხადა:

„ჩვენი მოსვლის პირველივე დღიდან ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენ ვიწყებთ სახელმძღვანელოების თემაზე მუშაობას. მე და ჩემი გუნდი ხუთი თვის განმავლობაში ვმუშაობდით ამ საკითხებზე. ძალიან ბევრი ვარიანტი, მოდელი და ვერსია იქნა გააზრებული, მაგრამ მიზანი იყო ერთი და სავალდებულო, რომ ის, რაც არის ამ ბავშვების და მათი მშობლების კონსტიტუციური უფლება, მათ ჰქონდეთ და მათ მიიღონ მყისიერად, დღესვე. და დღეს მე მათ, ჩემს თავს და ყველას საქართველოში ვულოცავ, რომ სახელმძღვანელოები საჯარო სკოლებში იქნება უფასო“.

განათლების მაშინდელი მინისტრის გიორგი მარგველაშვილისა და საჯარო სკოლებში სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ გამომცემლობებს, გარდა იმისა, რომ,მათი შეფასებით, მთავრობამ მათი ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა მოახდინა და დაასუსტა საგამომცემლო ბიზნესი. კერძოდ, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, საკუთარი რესურსებით დაებეჭდა და საჯარო სკოლებში უფასოდ გაევრცელებინა სახელმძღვანელოები, რომლებიც შექმნილი იყო კერძო გამომცემლობების მიერ და მათ ინტელექტუალურ საკუთრებას წარმოადგენდა. რაც შეეხება მოგებას:

„დადგენილი პროცენტი არის 10 პროცენტი, რომლის ფარგლებშიც ვგეგმავთ, გავცეთ ჰონორარი, კომპენსაცია იმ ავტორებზე, ვისი სახელმძღვანელოებიც და ვის გრიფირებულ სახელმძღვანელოებსაც ვიყენებთ“, განმარტავს უკვე მოქმედი მინისტრი თამარ სანიკიძე.

გამომცემლები კი საკუთარი უფლებების დაცვას სამართლებრივი გზებით ცდილობენ:

„ვინაიდან საქართველოს მთავრობამ ძალაში დატოვა განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება, ჩვენ მივმართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოვითხოვეთ ზარალის ანაზღაურება, უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება განათლების სამინისტროსგან. ამჟამად ზიანის ოდენობა, რომელსაც ითხოვს ის ოთხი გამომცემელი, რომლის ინტერესებსაც ჩვენ წარმოვადგენთ, შეადგენს დაახლოებით 15 მილიონ ლარს“, ამბობს ადვოკატი თამთა ივანიშვილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოში დაწყებულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას გამომცემლები იმის ტესტადაც მიიჩნევენ, მოწოდებულია თუ არა სახელმწიფო ბიზნესის ინტერესები დაიცვას. თბილისის საქალაქო სასამართლოს გარდა, გამომცემლების სარჩელი განიხილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოშიც. აქ სარჩელის საფუძველია ის საკანონმდებლო აქტი, რომლის ძალითაც გამომცემლებს საკუთრების უფლება შეეზღუდათ. საქმე ეხება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 25 თებერვალს გამოცემულ ბრძანებას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოსთვის გრიფის მინიჭების წესის შესახებ. კერძოდ, გამომცემლებს დაეკისრათ ვალდებულება, წინასწარ განეცხადებინათ თანხმობა თავიანთი ხელით შექმნილი სახელმძღვანელოს საავტორო უფლებების სამინისტროსთვის გადაცემაზე. საკონსტიტუციო სასამართლოში 7 გამომცემლობის წარმომადგენლის, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ გამგეობის წევრის გიორგი მშვენიერაძის თანახმად, დავა აქ შეხება განათლების მინისტრის ბრძანების იმ დებულებათა კონსტიტუციურობის შეფასებას, რომლის საფუძველზეც გამომცემლობებს სახელმძღვანელოები ჩამოერთვათ. დავის საგანია ასევე ხელშეკრულებებში ისეთი პირობების ასახვა, რომლებიც, დაცვის მხარის თანახმად, საკუთრების უფლებებს არღვევს:

„საკონსტიტუციო სასამართლოში ჩატარდა გამწესრიგებელი სხდომა, რომელზეც წყდება სარჩელის დასაშვებობის საკითხი, იმიტომ რომ იქ ბევრი კრიტერიუმია, რაზეც სასამართლომ უნდა იმსჯელოს. და ველოდებით სასამართლოს გადაწყვეტილებას — პირველად გადაწყვეტილებას. იმედია, ეს იქნება საოქმო ჩანაწერი და დასაშვებად მიიღებს სასამართლო ამ საქმეს. შემდგომ, ალბათ, გაიმართება მთავარი სხდომაც“.

საკონსტიტუციო სასამართლოში გამწესრიგებელი სხდომა გასული წლის მიწურულს, დეკემბერში შედგა. გადაწყვეტილება საქმის დასაშვებობის შესახებ, სავარაუდოდ, უახლოესი ერთი თვის ვადაში გირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოში კი მორიგი სხდომა 21 თებერვალს გაიმართება.

ნონა მჭედლიშვილი

◎ ინფორმაცია

დავით კეზერაშვილი პატიმრობაში დატოვეს

ფრანგმა პროკურორმა სასამართლოს მიმართა თხოვნით, იმსჯელოს ყველა საკითხზე და ისე გამოიტანოს გადაწყვეტილება, მათ შორის იმ არგუმენტებზე, რაზეც დაცვის მხარე აპელირებდა, — ამის შესახებ პროკურორმა ირაკლი დონდოლაძემ განაცხადა, რომელიც საფრანგეთში, ექს-ან პროვანსის საapელაციო სასამართლოში თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესს ესწრებოდა.

— პირველ რიგში, სასამართლომ პატიმრობაში დატოვა კეზერაშვილი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მეორეს მხრივ, ყველა ის ინფორმაცია, რაც სჭირდებოდა სასამართლოს, ჩვენ მივაწოდეთ და ამაზე დაყრდნობით იმსჯელებს სასამართლო. პროცედურა ასეთია — ზოგადად არ ხდება საექსტრადიციო პროცედურების მიმდინარეობისას სისხლის სამართლის საქმის გადაგზავნა მთელი მისი მტკიცებულებებით. საფრანგეთის სასამართლოს როლი არ არის ის, რომ იმსჯელოს პირის ბრალეულობაზე ან იმაზე, თუ რა მტკიცებულებები არსებობს. დოკუმენტები ქართულმა მხარემ სრულად მიაწოდა. დამატებითი ინფორმაცია ჰქონდა გამოთხოვილი ფრანგულ მხარეს და ისიც სრულად მიაწოდა მთავარმა პროკურატურამ. პროცესზე ერთმა ფრანგმა პროკურორმა სასამართლოს მიმართა თხოვნით, იმსჯელოს ყველა საკითხზე და ისე გამოიტანოს გადაწყვეტილება, მათ შორის იმ არგუმენტებზე, რაზეც დაცვის მხარე აპელირებდა. საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო, რომელმაც ჩათვალა, რომ ყველა საკითხის სრულყოფილად შესასწავლად და გადაწყვეტილების მისაღებად გონივრული ვადა ერთი თვეა, ანუ 27 თებერვალს გამოაცხადებს გადაწყვეტილებას, — განაცხადა დონდოლაძემ.

კითხვაზე, თქვა თუ არა ფრანგმა პროკურორმა დასკვნით სიტყვაში, რომ არ უნდა მოხდეს კეზერაშვილის ექსტრადირება, რადგან საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია, დონდოლაძემ განაცხადა: „პროკურორმა თქვა, რომ სასამართლომ უნდა იმსჯელოს ყველა იმ ასპექტზე, რაც საქმეში არსებობს, მათ შორის თქვენს მიერ დასახელებული არგუმენტებიც მოიყვანა ამ პოზიციის გასაძლიერებლად“.

ინტერპრესი

◎ გვამეები, გვამეები, გვამეები ჩქარა!

ღმერთმა რომ გარგუნა, როგორ გამოიყენე ის ნიჭი და სიმტკიცე, ვანო?

ვანო მერაბიშვილი ყოველმხრივ, ყველაფრით შემკული კაცია, განსაკუთრებით — სახელმწიფოს მართვის ხელოვნებით. გინდ ჩალმა დაახურე, გინდ — ცილინდრი და დასვი ნებისმიერი მსოფლიო საკრებულოს თავში, გასახელებს, გამოგაჩენს. რა გინდ რა ორგანო გაუშუქო, ფეხი თუ ხელი, სულერთია, მაინც ხერხემალი გამოჩნდება რენტგენის ეკრანზე.

ასეთია ვანო — საქართველოს ხერხემალი და ნაციონალური მოძრაობის ტვინი.

მაგრამ ამ სრულქმნილ პიროვნებას ერთი ნაკლი მაინც აქვს — ლოგიკურად, ანუ აზრიანად მსჯელობა უჭირს.

ისე, დრო იყო (მისი პოლიტიკურ ასპექტზე ამობრწყინების ბედნიერ ჟამს), ლაპარაკი საერთოდ უჭირდა, ძირითადად ნაწყვეტ-ნაწყვეტი ზმუილით გვაგებინებდა სათქმელს, მაგრამ, მერე და მერე ტრიბუნების გაშინაურების კვალდაკვალ, დანაწევრებულ მეტყველებას ასე თუ ისე მიეჩვია, მაგრამ მწყობრად მსჯელობასთან დღემდე მაინც მწყრალად არის.

მოგეხსენებათ, 29 იანვარს გავრცელდა 2009 წლის 25 მაისის „მუხროვანის აჯანყების“ აქამდე უცნობი ვიდეოკადრები და უმალ მთელი საქართველო ჯაჭვიდან აშვებულს დაემსგავსა.

მიდი და ნუ აიჯაგრები. კადრში ჩანს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელიც გარს შემოჯარულ სამხედროებს ნერვიულად, შეპასუხებას რომ გამორიცხავს, ისეთი იმპერიული ტონით უბრძანებს, „ორი გვამი მჭირდება, საიდანაც გინდათ იქიდან მოიტანეთ, პრემია დიდია, ვსიო!“

კადრში ჩანს, როგორ დაფაცურდა თანმხლებ ოფიცერთა თანავარსკვლავედი, არიქა, ვანო გვამებს ითხოვსო!

თუ იმ დროის ნამდვილ მოვლენებს თვალს გავადევნებთ, ვანოს მოთხოვნილ ორ გვამს იოლად მივაგნებთ: ჩაცხრილულ გენერალ კრიალაშვილს და ექიმების მიერ რის ვაივაგლახით გადარჩენილ გენერალ კობალაძეს! არის მეორე ორეულიც, ოღონდ „მხოლოდ“ დაჭრილი ოფიცრებისა, ბეწვზე რომ გადაურჩნენ გვამობას — ოთანაძე და ამირიძე.

ერთი სიტყვით, ვანომ გვამები მოისურვა და მიართვეს!

ყველაფერი თავის ადგილზე ჯდება! ოღონდ ვანოსგან გვამების ასე ხაფად და ვნებიანად მოთხოვნის ამბავი აქამდე არ ვიცოდით, არ გახმაურებულა!

ვინც ეს „სიმართლეს მიმსგავსებული“ ვარიანტი შეუთხზა ვანოს, ერთი რამ ვერ გათვალა: „მუხროვანის აჯანყებიდან“ გასულ 5 წელიწადში არავისგან ერთი სიტყვაც არ თქმულა „რუს მრჩევლებზე“, მით უფრო, „აჯანყების ორგანიზატორთა მიერ, კვალის დაფარვის მიზნით, ამ მრჩევლების ლიკვიდაციის“ შესახებ. რატომ არ მიჰყვა შინაგან საქმეთა მინისტრი კვალს ბოლომდე, „აჯანყების“ დამარცხების შემდეგ ყველა „კოზირი“ ხომ ხელისუფლების ხელში იყო? რატომ ვერ იპოვა ვერც გვამები და ვერც აჯანყებაში იმ გვამების, ანუ რუსეთის კვალი? როგორ მოხდა, რომ ვერც თვით გვამებმა და ვერც აჯანყებაში გვამების მონაწილეობამ ვერ გამოჟონა ამდენი ხანი?

იმიტომ, რომ ვანო მერაბიშვილი ცრუობს, როგორც ცრუობდა მთელი ნაციონალური მოძრაობა „მუხროვანის აჯანყებასთან“ დაკავშირებით. სააკაშვილს სჭირდებოდა დამარცხებული სამხედრო აჯანყება, თანაც რუსეთის მონაწილეობით, ვანოს კი სჭირდებოდა გვამები მასშტაბურობისთვის,. ისევე როგორც 2011 წლის 26 მაისს დასჭირდა და მიართვეს კიდეც სახურავზე შემოდებული ორი გვამი.

ვანო მერაბიშვილმა მუხროვანის აჯანყების კადრების შესახებ 30 იანვარს გავრცელებულ განცხადებაში გვამებთან დაკავშირებით ხომ „ყველაფერს ნათელი მოჰფინა“, იქვე კიდევ ერთი რებუსი შემოგვთავაზა:

„მე ღმერთმა მარგუნა 2008 წლის ომის დროს, კოდორის ოპერაციის დროს, ამ აჯანყების დროს ვყოფილიყავი ერთ-ერთი ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი და ჩემს სიმტკიცეზე იყო დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ერთიანობა და გადარჩენა“.

ჰოდა, ღმერთმა რომ გარგუნა, როგორ გამოიყენე ის ნიჭი და სიმტკიცე ქვეყნის ერთიანობისა და გადარჩენისა, ვანო? ქვეყნის ერთიანობა შეინარჩუნე, სამშობლო უბედურებას გადაარჩინე?

ეს „კოდორის ოპერაცია“ მაინც საიდან გამოაცხვე, შე კაცო, აკი თოფის გაუსროლელად მოკურცხლეთ იქიდან?

ან „ამ აჯანყებას“ მაინც რა სინდისით ითვლი აქტივში?

მაგრამ „აქ დგახარ და სხვაგვარად არ ძალგიძს“. შენ და შენს პრეზიდენტს მხოლოდ ომების, აჯანყებების ქაღალდზე შეთხზვა შეგეძლოთ!

თქვენ უნდა დაისაჯოთ და დაისჯებით კიდეც.

სანდრო ალექსიძე

◎ განსჯა

„ჩემთვის მეტი საფრთხის შემცველია რუსეთის მე-5 კოლონა“

„ შაძტია, რომ სოჭის ოლიმპიადის შემდეგ ზეწოლის ინტენსიურობა უფრო მეტი იქნება“, — ამბობს პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში ვანო მაჭავარიანი, რომლის ვარაუდით, სოჭის ოლიმპიადის შემდეგ რუსეთის ზეწოლა უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს. პრეზიდენტის მრჩეველის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის მხრიდან როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით დაიწყოს ზეწოლა. მაჭავარიანი ვარაუდობს, რომ პოლიტიკურ ელიტაში შეიძლება იყოს გახლეჩის შემოტანის მცდელობა.

რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ ზეწოლაზე საუბრობს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი, რომლის განცხადებით ეკონომიკური სანქციების გარდა, რუსეთის არსენალშია ე.წ. მე-5 კოლონის ამუშავება, რომელიც გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია ქვეყნისთვის.

for.ge სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.

— პრეზიდენტის მრჩეველი ამბობს, რომ სოჭის ოლიმპიადის შემდეგ რუსეთის ზეწოლა უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს. უკრაინის მოვლენების პარალელურად, ეს თემა არაერთხელ გაჟღერებულა ექსპერტების მხრიდან. ბატონო სოსო, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, რუსეთი ზეწოლის მეორე ფრონტს გახსნის საქართველოში?

— რუსეთის გააქტიურება, რასაკვირველია, მხოლოდ ოლიმპიადის დასრულების შემდეგ შეიძლება მოხდეს. გეთანხმებით, რომ ეს თემა არაერთხელ გაჟღერდა ჩემი კოლეგის მხრიდან და ეყრდნობა იმ ლოგიკას, რაც ხდება უკრაინაში. ეს აზრი უფრო ადრეც გაჩნდა, როდესაც სომხეთმა მოულოდნელად გადაწყვიტა, რომ სულ ტყუილად უთანამშრომლია ამდენი წელი ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში. ამის მერე აზერბაიჯანმა მონახა უფრო ღისეული გამოსავალი. გარდა ამისა, ვაკვირდებით და ვაანალიზებთ უკრაინის მთავრობის თავშეკავებულობას, არ გამოიყენოს ძალა.

— არ გამორიცხავთ, რომ ძალის არგამოყენება არის რუსეთის ტაქტიკა?

— არ გამოვრიცხავ. რადგან, მოგეხსენებათ 27 იანვარს მოინახულა ბრიუსელი. რასაკვირველია ევროკავშირი-რუსეთის სამიტზე მას არ სურდა პასუხისმგებელი ყოფილიყო უკრაინის სცენარზე, მით უმეტეს, თუ ის ამ პერიოდამდე გახდებოდა რაიმე განსაკუთრებული ძალადობის გამომხატველი. უკრაინული მხარის ანალოგიური მოთმინებაც, დიდი ალბათობით, დაკავშირებულია რუსეთის ოლიმპიადასთან. მას შემდეგ, რაც მაღალი თანამდებობის პირები დატოვებენ რუსეთს, ჩაქრება ოლიმპიური ჩირაღდანი, ალბათ, სრულიად განსხვავებული იქნება მიდგომებიც და შედეგებიც.

— ანუ ჩვენ მივიღებთ ნიშნებს, რომ საქართველო არ არის რუსული პოლიტიკიდან ამოგდებული თემა?

— რასაკვირველია.

— ზეწოლის რა მასშტაბები იქნება საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებული?

— ის ვადა, რომლითაც, თითქოს, სარგებლობენ რუსეთის ხელისუფალნი 11 კმ-იანი სივრცით აფხაზეთის სიღრმეში შემოსვლით, როდესაც ოლიმპიელები დატოვებენ სოჭს, ეს მოხდება მარტის პირველსავე კვირაში, საინტერესოა, გაიჭიმება თუ არა მათი „შიში“ რაიმე საფრთხის მიმართ.

— არ ფიქრობთ, რომ აფხაზეთის სიღრმეში შესვლა, საბაბი იყო რუსეთის მხრიდან არაადეკვატური ნაბიჯების გადასადგმელად?

— მოდით, ასე ვთქვათ, შეუზღუდავია გავლენები, რომელიც შეიძლება რუსეთმა გამოიყენოს საქართველოზე ზემოქმედებისთვის. ყველაზე მარტივი ზემოქმედება გახლავთ ქართულ ღვინოში და მინერალურ წყლებში მოულოდნელად მომწამვლელი ნივთიერების აღმოჩენა, რაც უკვე გავიარეთ. მაგრამ, გავუგეთ რა გემო ასეულობით მილიონ დოლარს, რომელიც ქვეყანაში შემოვიდა რუსეთის ბაზრის დაბრუნების პირველსავე მცდელობაზე, ცხადია, ეს იქნება გარკვეული უკმაყოფილების საფუძველი თავად ქართველ მეწარმეებში.

იქნება ასევე, სხვა ეკონომიკური სანქციები, თუნდაც სატრანსპორტო მიმოსვლის გართულების კუთხით, რაც ასევე აქვს რუსეთს თავის არსენალში. ჩემთვის უფრო მეტი საფრთხის შემცველია რუსეთის მე-5 კოლონა, რომელიც ღიად საუბრობს რუსეთთან მიმართებაში ურთიერთობის დათბობის თემაზე. თუმცა, ქართული ხელისუფლების იგივე წინადადების შინაარსი სრულიად განსხვავებულია.

— მე-5 კოლონას ვინ წარმოადგენს დღეს საქართველოში?

— მე-5 კოლონის შემადგენლობის სია საქართველოსთვის უცნობია, ვიდრე არ დაიწყება წინასაარჩევნო კამპანია, ვგულისხმობ ადგილობრივ არჩევნებს. ზოგი იქნება ხილული, ზოგი — უხილავი. ყურადღება მივაქციოთ ევროკავშირის ელჩის ბოლო ორ განცხადებას, სადაც ის აფრთხილებს ჩვენს მოსახლეობას, არ ენდონ ასეთი იდეების გამავრცელებელ თანამემამულეებს, რომ რუსეთი სამოთხეა და ევროპა ჯოჯოხეთიო. იმასაც უნდა გავუწიოთ ანგარიში, რომ უკვე არსებობს ლეგიტიმური არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლის მკაფიო ამოცანაა საქართველოს დამკვიდრება ევრაზიულ კავშირში.

იმდენად, რამდენადაც ეს ლეგალური ორგანიზაციები არიან, ცხადია, არ უნდა აღმოჩნდნენ რაიმე უსამართლო ზეწოლის ქვეშ, მაგრამ მათთან კომუნიკაციის დამყარება, მათთან დიალოგის და დისკუსიის წარმოება აუცილებელია ახლავე, რომ საზოგადოებისთვის მოულოდნელად მიმზიდველი არ აღმოჩნდეს მათი მიდგომები.

ამ ყველაფერზე უპრიანი პასუხი იქნებოდა, რომ ადგილობრივი არჩევნები გადაიდოს ოქტომბრისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გაკონტროლდება რუსეთიდან შემოსული დიდი თანხები. შესაბამისად, იქნება საფრთხე სრულიად უწყინარ პატრიოტებსაც დაბრალდეთ რუსეთის მე-5 კოლონის წევრობა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ორი კურდღლის დევნას თავი უნდა დავანებოთ. ჯერ მოვახერხოთ ხელმოწერა ასოცირების ხელშეკრულებაზე.

— დაანონსდა, რომ ზაფხულამდე მოვაწერთ ხელს. ამიტომ, ჯობს ცოტაც მოვითმინოთ ძველი ადგილობრივი ხელისუფლება...

— უკეთესი იქნება, რომ ადგილობრივი არჩევნები ოქტომბერში გაიმართოს. რუსეთის მხრიდან რაიმე ტიპის ზეწოლაზე საუბრის საფუძველი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ მან დაიწყო სრულიად მკაფიო, ღია შეიარაღებული აგრესია. ვინაიდან, ამისგან თავის დაზღვევის მეტი საერთაშორისო ინსტრუმენტი არსებობს, ჩვენი კომუნიკაციები ევროკავშირის წარმომადგენლებთან მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ მოხერხდეს ინდივიდუალური რეჟიმის განხილვა საქართველოსა და მოლდოვას მიმართ, რომ ევროკავშირმა მიიღოს არატრადიციული გადაწყვეტილება და ასოცირების შეთანხმება ავტომატურად ხელმოწერილად ჩაითვალოს იმ დღიდან, როდესაც საჯარო და სარწმუნო გახდება რუსეთის პოლიტიკური-ეკონომიკური თუ სხვა ტიპის ზეწოლა ამ ორ სახელმწიფოზე, მათი ევროპული განვითარების გზის გადახერგვის სურვილით.

იხ. 4 გვ.

◎ დამოუკიდებელი ექსპერტი

„თუ პროკურატურა მუხროვანის საქმეზე გაცემულ საპრემიო ფონდს შეისწავლის, ძალიან ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი“

მუხროვანის ამბოხზე გავრცელებულ კადრებთან დაკავშირებით, თუ რისი გამოძიება მოუწევს პროკურატურას, „ინტერპრესნიუსი“ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრს კახა კახიშვილს ესაუბრა.

— ბატონო კახა, 2009 წლის მუხროვანის ამბოხთან დაკავშირებით გავრცელებულმა კადრებმა, რომელშიც შსს-ს მინისტრი ვანო მერაბიშვილი აცხადებს — „ორი გვამი მჭირდება. პრემია დიდია,“ საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუ წინასწარი დასკვნებისაგან თავის შეკავებას გვირჩევს, მე მაინც მინდა, გთხოვოთ გავრცელებული კადრების შეფასება. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ? უკვე არც წინა ხელისუფლების წარმომადგენლები არ უარყოფენ, რომ გავრცელებული კადრები „ოპერატიული ვიდეომასალაა“...

— რამდენადაც მე გავიგე, მერაბიშვილმა იგულისხმა რუსების გვამები, რომლებზეც ჰქონდა ინფორმაცია, თითქოს ამბოხებულების მიერ იყვნენ მოკლულები. ერთია, რას გულისხმობდა მინისტრი მერაბიშვილი, მეორეა ნამდვილად ჰქონდა თუ არა შსს-ს დადასტურებული ინფორმაცია, რომ მუხროვანის საქმეზე დაკავებულებმა ორი რუსი ინსტრუქტორი მოკლეს. ასეთი ტიპის მასალა შსს-ში უნდა ინახებოდეს და მათი მოძიება დღეს სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს.

თუ საუბარია იმაზე, რომ ეს ადამიანები იყვნენ მოკლულები, მკვლელობის საქმეზე გამოძიება უნდა ყოფილიყო დაწყებული. ამ საქმეზე დაწყებულ გამოძიებას მოუწევს მერაბიშვილის განცხადებების საფუძვლიანობის დადგენაც. საქმე ეხება ჩვენთან უცხო ქვეყნის ორი მოქალაქის მკვლელობას. იყო თუ არა მკვლელობის საქმესთან გამოძიება და კიდევ, რა კავშირშია მუხროვანის საქმე იმ მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელზეც მერაბიშვილი აცხადებს. ერთია განცხადებები და მეორე სამართლებრივად ყველაფრის იმის დადასტურება, რაზეც შსს-ს ექს-მინისტრი საუბრობს.

— თქვენ ხშირად კრიტიკულად აფასებთ პროკურატურის საქმიანობას. თქვენი აზრით, პროკურატურას შესწევს უნარი, გამოიძიოს გავრცელებულ კადრებში აღწერილი ამბავი და დაადგინოს, ვინ აიღო „დიდი პრემია“, რომელზეც ექს-მინისტრი მერაბიშვილი ლაპარაკობს?

— ვიმეორებ, დასადგენია, თუ როგორ გაიგეს მინისტრის ბრძანება სამსახურებრივად მასზე დაქვემდებარებულმა პირებმა, რომელიც „დიდ პრემიას“ ითვალისწინებდა. თუ პროკურატურა შეისწავლის მუხროვანის საქმეზე გაცემულ საპრემიო ფონდს, ამით გავრცელებულ კადრებთან დაკავშირებით ძალიან ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი. დადგინდება, კონკრეტულად რომელ პირებზე გაიცა პრემია და რისთვის.

პრემია ყოველთვის კონკრეტული დავალების შესრულებისთვის გაიცემა. გამოძიებას შეუძლია, არა მარტო დაადგინოს პრემიის ოდენობა, არამედ ის, თუ რას უკავშირდება „დიდი პრემიის“ გაცემა. გამოძიებამ უნდა დაადგინოს დავალების გამცემისა და დავალების შემსრულებლის ურთიერთკავშირის ფაქტი.

დიახ, მე ხშირად გამიკრიტიკებია პროკურატურის საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს საზოგადოებას ჰქონდა ეჭვი, რომ წინა ხელისუფლების მმართველობის დროს ხდებოდა სისტემური დანაშაული, ახალი ხელისუფლების პირობებში პროკურატურას არც ერთი ამის დამადასტურებელი ფაქტი არ დაუდგენია, ანუ არ დაუდგენია ორგანიზებული ჯგუფი, ვინც ქვეყნის სხვადასხვა უწყებაში სისტემურ დანაშაულს ნერგავდა ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით.

— რამდენად დიდია ალბათობა, რომ ამ საქმეს იგივე პროკურორები არ გამოიძიებენ, რომლებმაც წკრიალაშვილ-ოთანაძესა და სხვებს ბრალი წაუყენეს?

— სამწუხაროდ, დღეს პროკურატურის მმართველ რგოლში იგივე ადამიანები არიან, ვინც წინა ხელისუფლების დროს ასეთი ტიპის გამოძიებით იყვნენ დაკავებული. ასეთი ვითარებაა არა მარტო პროკურატურაში, არამედ სხვა ძალოვან უწყებებში. ამიტომ, ალბათობა იმისა, რომ ამ საქმეს ისევ ეს ადამიანები გამოიძიებენ, რომლებსაც პირდაპირ ან ირიბად ჰქონდათ მუხროვანის საქმესთან შეხება, საკმაოდ დიდია. ვფიქრობ, რომ ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ამ საქმის გამოძიება იგივე პროკურორებს არ დაევალოთ, ვინც წკრიალაშვილსა და ოთანაძეს თავის დროზე ბრალი წაუყენეს.

— დღეს, ერთი შეხედვით, ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუ ვინ გაავრცელა 2009 წლის კადრები, მაგრამ ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ კადრების გავრცელება უკავშირდება „ნაცმოძრაობაში“ შიდა პარტიულ ბრძოლას და იმ ადამიანებს, რომლებიც, შესაძლოა, მნიშვნელოვან ინფორმაციებს ფლობდნენ და სხვადასხვა მიზეზთა გამო, ახლა ქვეყნის გარეთ იმყოფებიან? ასეთები კი მოგეხსენებათ, საკმაოდ ბევრი არიან...

— ამ და სხვა გარემოებათა გამო, ვფიქრობ, გამოძიება უნდა დაინტერესდეს და მისი ინტერესის საგნად იქცეს ის, თუ საიდან აღმოჩნდა „იუთუბზე“ ვიდეოფაილი. უნდა დადგინდეს, თუ ვინ და საიდან ატვირთა „იუთუბზე“ ეს კადრები.

ძალიან კარგია, რომ ეს კადრები აიტვირთა და საზოგადოებამ მეტი გაიგო 2009 წლის მაისის მოვლენებზე, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, თუ რა იყო მისი მიზანი. ამ კადრებისათვის წვდომა, ალბათ, მხოლოდ რამდენიმე პირს ჰქონდა. იქ არ იყო თავისუფალი პრესა. იქ მხოლოდ ძალოვანი უწყებების პრესსამსახურის თანამშრომლები იყვნენ.

არის თუ არა კადრების გავრცელება დაკავშირებული „ნაცმოძრაობის“ შიდა ბრძოლებთან? ამ ვარაუდს აქვს არსებობის უფლება. ბოლო პერიოდში რჩება შთაბეჭდილება, რომ „ნაცმოძრაობამ“ ვიღაც-ვიღაცები გაწირა, რომლებზეც საბოლოოდ გადატყდება სამართლიანობის აღდგენის ჯოხი. საბოლოოდ მივიღებთ გარეცხილ „ნაცმოძრაობას“, რომელსაც ექნება მკაცრად განსაზღრული პოლიტიკური მიზნები, დარჩება ამ ხელისუფლების ერთადერთ პოლიტიკურ ოპონენტად და გააგრძელებს ხელისუფლებისთვის ბრძოლას.

ამ საქმის გამოძიება იგივე პროკურორებს არ დაევალოთ, ვინც წკრიალაშვილსა და ოთანაძეს თავის დროზე ბრალი წაუყენეს

დიდია ალბათობა, რომ „ნაცმოძრაობაში“ ვინც ყველაზე ოდიოზური იყო, ის დაისაჯოს, ხოლო პარტია გააგრძელებს მშვიდად თავის არსებობას და პოლიტიკურ საქმიანობას.

— შეძლებს პროკურატურა იმის დადგენას, 2009 წლის მაისში მართლაც ჰქონდა თუ არა ადგილი ამბოხსა და გადატრიალების მცდელობას? ამ საქმის ფიგურანტები ამტკიცებენ, რომ მათი დევნა წინა ხელისუფლებამ მას შემდეგ დაიწყო, რაც მუხროვანის ნაწილმა უარი თქვა 2009 წლის საპროტესტო აქციებში მონაწილეობა წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ დაგეგმილ ოპერაციაში მონაწილეობაზე. მუხროვანის ნაწილის მეთაურებს უნდოდათ პრესასთან განცხადების გაკეთება, მაგრამ ხელისუფლებამ მათი გეგმების შესახებ შეიტყო, მოვლენებს დაასწრო და მათ აჯანყებისა და გადატრიალების მცდელობა დასდო ბრალად...

— არსებობს სრული საფუძველი იმისა, რომ მუხროვანის საქმე ხელახლა გამოიძიონ. ამის აუცილებლობა დიდი ხანი მანამდეც არსებობდა. ძალიან ბევრი შეუთავსებლობა იყო იმასა და იმას შორის, რაც მათ ბრალდებოდა და რასაც ბრალდებულები აცხადებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ვიდეოფაილის ავთენტურობა დადასტურდა, პროკურატურამ თავიდან უნდა დაიწყოს მუხროვანის საქმის გამოძიება.

კობა გენდელიანი

◎ განსჯა

„ჩემთვის მეტი საფრთხის შემცველია რუსეთის მე-5 კოლონა“

(მესამე ბვერდიდან)

რუსეთი უნდა იყოს გაფრთხილებული, რომ ასეთი ზეწოლის პირველივე ფაქტი ნიშნავს, რომ მოლდოვა და საქართველო უკვე არიან იმ ხელშეკრულების ფორმატის აღმსრულებლები, რომელიც პარაფირებული იქნა ვილნიუსში.

— მე-ნ კოლონას დავუბრუნდეთ. თქვენ ამბობთ, რომ უკვე არსებობს ლეგიტიმური არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლის მკაფიო ამოცანაა საქართველოს დამკვირდება ევრაზიულ კავშირში. ეს ორგანიზაციები არალეგალურად უკვე მოქმედებენ ქვეყანაში?

— ეს კითხვა უნდა დავუსვათ რუსეთის ლეგალურ წარმომადგენელს. უშიშროების ყოფილ მინისტრს ვალერი ხაბურძანიას. არის ის ეული, მარტოდ მიტოვებული თუ აქვს რაიმე სტრუქტურა, რომელსაც ის ეყრდნობა.

— ხაბურძანია ღიად გამოდის ევროინტეგრაციის წინააღმდეგ, მისი კრიტიკის ობიექტი გახდა 100-გვერდიანი პარაფირების დოკუმენტი. თუმცა, მის ორგანიზაციას არანაირი გავლენა საზოგადოებაში არ აქვს. თქვენ ფიქრობთ, რომ მისი ხელით შეეცდება რუსეთი პოლიტიკური კლიმატი შეცვალოს ქვეყანაში?

— რასაკვირველია. იგი ასევე აქტიურია მედიაში. მე მგონია, რომ ჟურნალისტთა ერთ-ერთი გამოვლინება უნდა იყოს ამ ტიპის ინფორმაციების მოკრება სხვადასხვა საინფორმაციო წყაროში და მერე შეჯერებული ანალიზი. არაფერს მიუღებელს თითქოს არ ამბობს ბატონი ხაბურძანია, ლოგიკასთან მწყრალად არ არის, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია ძირითადი ამოსავალი წერტილი. რასაკვირველია, მას მეტი ინფორმაცია აქვს რუსეთის გეგმებზე.

არ ვიცი, რამდენად გულწრფელია, როდესაც მხოლოდ პოზიტივზე საუბრობს, როდესაც კრიტიკულია დღევანდელი ქართული ვითარების მიმართ, იქ ეს თემები გამოყენებულია სწორედ საწინააღმდეგო ვექტორის გამოსაყენებლად და არა რაიმე გულშემატკივრობის განცდით დღევანდელი ვითარების მიმართ. ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა. თუ ვცდები, გამიხარდება.

— გარდა ხაბურძანიასი, ვინ არის ის პოლიტიკური ფიგურა თუ პარტია, რომელსაც რუსეთი დაეყრდნობა საქართველოში სიტუაციის დესტაბილიზაციისთვის. შეიძლება ეს ნინო ბურჯანაძე იყოს?

— ბურჯანაძის რუსოფობია არასერიოზულია. ვინც მას იცნობს, ეჭვი არ ეპარება, რომ მისთვის ევროპა უფრო კომფორტულია, ვიდრე რუსეთი. ანალოგიური განცხადებები გამიგია კახა კუკავას მიმართ. საჭირო არაა რაიმე ტიპის რუსოფობია. ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ მშვიდად და დამაჯერებლად. მეტი ინფორმაცია ხალხს, თუ რა გზით აპირებს ქვეყანა სიარულს. ნურც იმას გავიჩენთ მოლოდინად, რომ 2015 წელს უვიზო მიმოსვლა გვექნება ევროპასთან. ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ თაროზე დევს კანონპროექტი მიგრაციის შესახებ, წლების განმავლობაში წინა ხელისუფლებას შეცდომაში შეჰყავდა ევროკავშირი, რომ მზად გვაქვს კანონი მიგრაციის შესახებ. როგორ მოხდა, რომ მოლდოვამ გაასწრო საქართველოს უვიზო რეჟიმის მიღებაში? სწორედ იმიტომ, რომ ეს არ იყო ქართული ხელისუფლების სურვილი. მათ ერჩივნათ უკონტროლო საზღვრები. ჩინეთიდან თუ აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსული ემიგრანტები, ლამის უფასო მუშა ხელის სახით, ვიდრე დაემყარებინა კონტროლი საზღვრებზე და სახელმწიფოს ნიშანი შეეძინა ჩვენს ქვეყანას.

თამთა ძარჩავა

ვინ „ემუქრება“ მანდატურებს?

ბავშვებს – არა „ნადზირატელი“, არამედ დამცველი სჭირდებათ

წინა ხელისუფლება ყველა სფეროში ცდილობდა ნდობით აღჭურვილი პირების „ჩანერგვას“. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის, რომ კომუნისტების დროს დაკანონებულ, შემდგომ „შევარდნაძის ნარჩენებად“ შერაცხილი ე. წ. „ოდეერის“ ინსტიტუტს ვერაფრით შეელივნენ. სკოლებშიც, ხომ ჰყავდათ თავიანთი „ოდეერები“. მაგრამ შაშკინმა და მისმა გუნდმა დაწესებულებებში ახალი ინფორმაციის გამომტანები და პოლიტიკური რეჟიმის (შესაბამისი ფორმით) გამტარებლები – „მანდატურები შეიყვანეს“.

ეს ინსტიტუტი 2012 წელს განათლების მინისტრად შაშკინის ყოფნის პერიოდში შეიქმნა. კადრების შერჩევა, რჩეულთა ტრენინგი კი შსს-ს აკადემიაში მიმდინარეობდა(?!).

მანდატურებს თავიდანვე დიდი ფუნქციები და უფლებები მიენიჭათ. ისინი სრულად აკონტროლებდნენ არა მხოლოდ მოსწავლეთა ყოფაქცევას, არამედ მასწავლებლებისაც, სკოლაში ბავშვის წასაყვანად მოსული მშობლისა და თვით შემოსული სტუმრებისაც.

„თქვენს სისხლს დავლევ!“ – ოფიციალურად გააფრთხილა მინისტრმა შაშკინმა იმ სკოლების დირექტორები, რომელთაგანაც ნაციონალურ ხელისუფლებას გარკვეული წინააღმდეგობები ექმნებოდათ თავიანთი პოლიტიკური ნება-სურვილის უსიტყვოდ აღსრულებაში. მინისტრმა დაქადნებული შეასრულა. მანდატურები აკონტროლებდნენ ყველას და ყელაფერს. მათი სიტყვის, ბრძანების შესრულება სავალდებულო იყო დირექტორისა და მისი მოადგილეებისათვის, მოსწავლეთა და მათი მშობლებისათვის, მასწავლებელთა და ადმინისტრაციული დარგის თანამშრომელთათვის. სპეციალურ სამხედრო უნიფორმებში გამოწყობილები ამოწმებდნენ სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაციის მოსვლა-წასვლას, უფლება ჰქონდათ შუა გაკვეთილზე შესულიყვნენ კლასებში და შეემოწმებინათ მოსწავლეთა დასწრების ჟურნალი. თუ მასწავლებელს გამცდენი მოსწავლის გასწვრივ არ ჰქონდა დაწერილი – „არა“, მანდატურს შეეძლო მოეთხოვა მასწავლებლის ადმინისტრაციული წესით დასჯა, ან სამსახურიდან საერთოდ გათავისუფლება. პირველის – ასეულობით, ხოლო მეორის ათეულობით ფაქტია დაფიქსირებული.

გარდა სასწავლო პროცესის კონტროლისა, „ნადზირატელებს“ სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგ-მასწავლებელთა პოლიტიკურ შეხედულებებზე კონტროლიც ევალებოდათ. უსმენდნენ მათ კერძო საუბრებს, ისევე როგორც მოსწავლეთა და მათი მშობლებისას. თუ რაიმე „ნაციონალების“, განათლების სამინისტროს მისამართით კრიტიკულს გაიგნებდნენ, უმალ ატყობინებდნენ განათლებისა და შს სამინისტროებს, რის შედეგადაც სხვაგვარად მოაზროვნეებს აუცილებლად ექნებოდათ პრობლემები. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებით რომ ვთქვათ, მანდატურის სამსახური, ეს იყო პოლიტიკური კონტროლის ინსტიტუტი, განსაკუთრებით ერთგულ, ზოგჯერ უმაღლესი განათლების არმქონეთ, სკოლების დირეტორებადაც კი ნიშნავდნენ.

ოფიციალური სტატისტიკით, როგორც აცხადებენ სპეციალისტები, მანდატურის სამსახურის შემოღების შემდეგ, სკოლებში არასრულწლოვანებს შორის დანაშაული მკვეთრად შემცირდა, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით სკოლის გარეთ მიმდინარე მოვლენებზე. პირიქით, მოზარდთა შორის დანაშაული გაიზარდა.

რეფორმა, პანიკა - პროვოკაციის ელემენტებით

ახალმა ხელისუფლებამ მმართველობის სათავეში მოსვლისთანავე დაიწყო მუშაობა საჯარო სკოლებში მანდატურის სამსახურის სახელწოდებისა და ფუნქციების შეცვლისათვის.

პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, რომლის განხილვაც ნავარაუდევია თებერვლის ბოლოსა და მარტის დასაწყისში, მანდატურები ბავშვთა დაცვის ოფიცრები გახდებიან. მნიშვნელოვნად შეიცვლება მათი ფუნქციებიც. მათ აღარ ექნებათ სააკაშვილის რეჟიმის მიერ მინიჭებული თვალთვალის, მოსმენის, მიყურადების უფლება-მოვალეობანი.

როგორც მანდატურის სამსახურის უფროსი **ლევან ზარდალიშვილი** აღნიშნავს **ყოფილი მანდატურები, რომლებიც ცოტა ხანში ბავშვთა დაცვის ოფიცრები გახდებიან, შს-ს აკადემიის გარდა, გადიან გადამზადებას ფსიქიკაში, ფსიქოლოგიაში, პედაგოგიკასა და სხვა ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე სხვადასხვა მეცნიერებებში.**

სამსახურის უფროსის მოადგილის განმარტებით, ძველიდან დარჩება აუცილებელი, ბავშვის ფიზიკური დაცვა, რასაც დაემატება იდენტიფიკაცია. შესაბამისი სპეციალისტების დახმარებით ბავშვთა დაცვის ოფიცრებს ჩაუტარდებათ შესაბამისი ლექციების კურსი, რათა მათ გამოიმუშაონ შესაძლებლობა, აღმოაჩინონ ბავშვში მთელი რიგი პრობლემები – ზედმეტად მოწყენილობა, ხასიათისა და ქცევების ცვალებადობა და ა. შ. და მეორედ ამ პირველადი იდენტიფიკაციის საფუძველზე, საჭიროებისამებრ დახმარებისათვის მიმართონ ფსიქოლოგიურ ცენტრს. თავიანთი შეხედულებები აცნობონ სკოლის ადმინისტრაციას, კლასის დამრიგებელს, მოზარდის მშობელს. ყოველივე კეთდება უსაფრთხო სკოლის კონცეფციის ფარგლებში, აკონკრეტებს ზარდალიშვილი.

მისივე გადმოცემით მომავალ ბავშვთა დაცვის ოფიცრებს უტარდებათ ტრენინგები მედიაციასა და მცირე კონფლიქტების მოგვარების კუთხით. ოფიცერს უნდა ჰქონდეს უნარი სერიოზული გართულებების არარსებობის დროს მცირე კონფლიქტის პირობებში არასრულწლოვანები მოარიგოს ერთმანეთში, ამბობს სამსახურის უფროსის მოადგილე.

იგი იმის შესახებაც საუბრობს, რომ ბავშვთა დაცვის ოფიცერს ემატება ახალი ფუნქციები. კერძოდ, თუ აქამდე მანდატურს არ შეეძლო სკოლის შენობის გარეთ გასვლა, ახალი კონცეფციით, თუ ბავშვს რაღაც ემუქრება, მას მის შესაძლებლობა ეძლევა, გავიდეს შენობიდან და იყოს იქ, სადაც რაღაც ხდება.

მას, აგრეთვე, ექნება უფლება, თუ მასწავლებელი ან მშობელი სთხოვს, მოზარდის სახლამდე მიცილებას. ამ შემთხვევაში, თავისი შესაძლო ქმედებების შესახებ აუცილებლად უნდა აცნობოს ცენტრალურ ოფისს. სწორედ ამგვარ ცვლილებებს მიიჩნევს ზარდალიშვილი ბავშვზე ზრუნვას და არა კონტროლს.

დაგეგმილია ოფიცრებისათვის ფორმის შეცვლაც. ის აღარ იქნება პოლიციელის მაგვარი ჩაცმულობა, მაგრამ ფორმის არსებობა აუცილებელია, რადგანაც ქუჩიდან შემოსულმა, სტუმარმა, მშობელმა იგრძნოს, რომ სკოლაში არსებობს ბავშვთა დაცვის ოფიცერი.

საბოტაჟი განათლების სამინისტროს მიმართ

ᲫᲕᲔᲧᲜᲘᲡ მასშტაბით ბოლო დღეების განმავლობაში მანდატურები აქციებს მართავდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ მათ სამსახურს ხელისუფლება აუქმებს. ამის ეჭვი კი გააჩინა ვითომდა სამინისტროდან მანდატურთათვის გაგზავნილმა მოკლე „სკაიპმა“ – **მადლობა 4-წლიანი მუშაობისათვის და ნახვამდის.** მინისტრმა შეტყობინება არასწორ და არაკვალიფიციურ ინფორმაციად შეაფასა და პირობა დადო, რომ ყოველნაირად ეცდება, მოახდინოს იმ ადამიანების იდენტიფიცირება, ვინც მანდატურთა საპროტესტო აქციის პროვოცირება მოახდინა.

საინტერესოა, რომ განათლების სამინისტროს მიმართ საბოტაჟის მცდელობის ეს შემთხვევა პირველი არაა. გასულ წელს სასკოლი ოლიმპიადის დაწყებამდე ინტერნეტ-სივრცეში ოლიმპიადის ტესტები წინასწარ გავრცელდა, რის შედეგადაც სამინისტრო იძულებული გახდა სასკოლო ოლიმპიადა 200 ათასი ბავშვისთვის გაეუქმებინა. ოლიმპიადა შარშან მხოლოდ მეათე და მეთორმეტეკლასელებისათვის ჩატარდა.

განათლების სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, დღეისათვის მანდატური საქართველოს 400 სკოლაშია. მოთხოვნა კიდევ შემოსულია 741 სკოლიდან. დღეს სულ ოფიციალურად რეგისტრირებულია 1115 მანდატური. მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება, რადგანაც ახალი კანონპროექტით უსაფრთხო სკოლის კონცეფციის ფარგლებში ბავშვთა დაცვის ოფიცერი ყველა სკოლაში უნდა იყოს. თუ კანონპროექტი არ დამტკიცდება და კანონის ძალას ვერ მიიღებს, მანდატურს (ბავშვთა დაცვის ოფიცერს) სკოლის დირექტორი დანიშნავს, განმარტავს მანდატურის სამსახურის (მომავალში, ალბათ, ბავშვთა დაცვის ოფიცრის სამსახურის) უფროსის მოადგილე ლევან ზარდალიშვილი.

ᲖᲐᲖᲐ ᲑᲘᲚᲘᲮᲝᲫᲔ

◎ კაკალ გულში

● **საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ქ-ნ მაია ფანჯიკიძეს! საქართველოს თავდაცვის მინისტრს, ბ-ნ ირაკლი ალასანიას!**

ამ შეკითხვას არ ვუსვამ არც დღევანდელ პრეზიდენტს და არც დღევანდელ პრემიერ–მინისტრს. გეკითხებით პირადად თქვენ:

როცა დაინიშნეთ ამ მეტად საპასუხისმგებლო პოსტებზე, მიიღეთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ,თუ ვინ იყო საქართველოს სამხედრო ატაშე დიდ ბრიტანეთში?

თუ მიიღეთ, რატომ არ განახორციელეთ შესაბამისი ქმედება და რუსული აქცენტით მოსაუბრე გენერალი (თავს უფლებას ვაძლევ ვიფიქრო, რომ ბატონი დავით ნაირაშვილი რუსული სპეცსამსახურების თანამშრომელია) დატოვეთ საქართველოს ატაშედ ისეთ სახელმწიფოში, როგორიც დიდი ბრიტანეთია? (გთხოვთ, არ თქვათ „გაგვეპარაო“, რადგანაც არა მგონია, რომ საქართველოს იმდენი სამხედრო ატაშე ჰყავდეს, რომ ერთი ცალი „გაიბნეს“).

წერტილოვანი ფრაზები

აპირებთ, თუ არა დაუბრუნოთ საქართველოს ბიუჯეტს ის თანხა, რაც სამხედრო ატაშემ და გენერალმა დავით ნაირაშვილმა თქვენი უთაობის, არაკომპეტენტურობის და დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგად საქართველოს ბიუჯეტიდან მიიღო?

სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ამ შეკითხვებზე თქვენგან პასუხს ვერ მივიღებ. ამიტომ პასუხის გაცემას საქართველოს მოსახლეობას ვთხოვ!

● **ვანო ამ ერთ ღამეში დაბერდა.**

ყოფაც სტირებია. შვილის წერილზე იტირაო. სხვას არ ჰყავდა შვილები, ობლად რომ იზრდებიან ახლა, ვანოს ბოროტი ზრახვების გამო.

● **გუშინდელი კადრების მერე თარგამაძეს ოთხ თითზე გაეხსნა პირი.**

● **მეთიუ ბრაიზა თბილისში რატომ გდია – მოშივდა?**

● **ისეთი ამინდია, გოგა ხაჩიძეც არ გაიგდება გარეთ.**

● **კაკო ბობოხიძეს შევეშვათ... ისეთი კადრები აქ მეგიზას ჩემზე გადაღებული, იძულებული ვარ, ესეთი არაკაცობები ვიძახოო. კაცად მიცნობდნენ, ოჯახი მყავს, ცოლ-შვილი და რა ვქნაო!**

● **ამათ ხალხის ეშინიათ... ნუ იქნება ოლონდ ბუნტი!**

ჰოდა, ნებისმიერ შემთხვევაში ნუ დაჯდებით შინ!

ამოკრიბა
ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №216

სამაშრად გამოტანილი ლათინური ფრაზა ასე ითარგმნება: „კარგად იცხოვრა, ვინც კარგად იღვაწა“.

პიროვნება, თავისი შემოქმედებით, ასე თუ ისე, საკუთარ ავტოპორტრეტს ხატავს და რეზო თაბუკაშვილის დღიურებში განსაკუთრებულად აქცენტირებული ეს ლათინური ფრაზა შემთხვევითი არ გახლავთ.

კომპანია „მაგთიკომმა“ კიდევ ერთი, არა მარტო მატერიალურად ღირებული პროექტი დააფინანსა: რეზო თაბუკაშვილის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი შემოქმედების კრებული. აქ თავმოყრილია ბატონი რეზოს სცენარები, ლექსები, გამოსვლები, მოთხრობები, მოგონებები... ანუ სახეზეა როგორ და რისთვის ცხოვრობდა ეს დიდი ქართველი...

ამჟამად ბატონი რეზო თაბუკაშვილის დღიურების ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ, რომელიც მის პირად არქივში ხელნაწერების სახითაა დაცული.

BENE QUI LATUIT, BENE VIXIT...

დღეს ოცდაჩვიდმეტი წლის გავხდი. ეს ისეთი უმნიშვნელო და პატარა ციფრია, მით უმეტეს ამ საყოველთაო სიძვირის დროს, რომ არც კი ღირს, ალბათ, დაფიქრებად. მართლაც, რა არის ოცდაჩვიდმეტი წელი, არც არაფერი. ესაა წლოვანება, როცა უიტმენს ჯერ ერთი სტრიქონი არ ჰქონდა დაწერილი და ლომონოსოვს კი წერა-კითვხისმცოდნეობის მხოლოდ ჩვიდმეტი წლის სტაჟი გააჩნდა. ესაა წლოვანება, რომლის შემდეგაც ტიციანმა სამოცდასამი წელი იცოცხლა და იმოღვაწა (ამ თუშური ციხის კედელზე, სადაც ალიონზე რაღაცა ძალამ გამომაგდო. ვერ დავაზუსტებ ამ მონაცემების უტყუარობას, მაგრამ დაახლოებით მაინც ხომ ასეა).

დიდი არაფრის გამომხატველია ეს ხუთმარცვლოვანი სიტყვა – ოცდაჩვიდმეტი. ბოლოს და ბოლოს ეს არც ნიშნავს ამ ხნის ცხოვრებას. ერთიმეორეზე რომ ვიანგარიშოთ, ესაა ძილი თორმეტი წლის განმავლობაში, ესაა ავადმყოფობა ხუთი წლის განმავლობაში მაინც. სხეულის არსებობისათვის აუცილებელი საკვების მიღების მინიმალურ ხანგრძლივობად, საქართველოში განსაკუთრებით, ათიოდე წელი მაინც უნდა ვიანგარიშოთ. დარჩენილი ათი კი, ალბათ, არც ეყოფა პანაშვიდებს, ორმოცებს, კრებებს და კონფერენციებს, ქელეხებზე ჯდომას და რიგში დგომას.

ჩემი წლოვანება წეროების ოცდაჩვიდმეტი გადაფრენაა და სულ რაღაც ოცდაჩვიდმეტი ჭიქა საახალწლო სადღეგრძელოსი.

მეტი არაფერი.

და ასე საზიზღრად რატომ კივის ტვინში ეს ციფრი. ამ ზღაპრულ სილამაზეში ტირილი რატომ მინდება?..

განა მაქვს რომ კონცეფცია,
დავაზუსტეთ განა თემა?
დღეები კი მიფრინავენ!
უსახელო ბარათებად!
1964 წელი

* * *

ARGENTINULI ჩანაწერები:

არგენტინაში გამოჰყავთ ცხენების ახალი ჯიში, სულ რვაოდე თუ ათიოდე წელია. ღირს გასაოცრად ძვირი, ჰქვია „ფარაველა“, ეს არის პატარა ცხენი, პატარა ძაღლებისხელა. ყველაფრის დაპატარავება შეძლეს, მინიატიურულ ვარიანტში ცხენისა, 
გარდა გულისა. გული აქვს ამ პატარა ცხენს – დიდი ნორმალური გული. დანარჩენი, ეს უმცირესი ტანი...

და ამასთან დაკავშირებული ანალოგიები ჩვენი გულისა და ჩვენი დაკნინების შესახებ.

საოცრად ცხელა...

სიცხემ შემაწუხა...

დღეს ჩამოვფრინდით მონტევიდეოდან, გალაკტიონის ლურჯი მონტევიდეოდან, და რამდენად უფრო დიდია და განსხვავებული პოეტის წარმოდგენა ვიდრე რეალობა.

„ლურჯი მონტევიდეო,
ვიწრო ხელთათმანებით“.

ვეგებები მონტევიდეოს სილურჯეს, ხელთათმანთა სივიწროვეს, აი, ამ სიმბოლოს, მაგრამ ეს სიმბოლო ძნელად დასაჯერებელია, მიუხედავად იმისა, რომ მონტევიდეო არის ბრწყინვალე ქალაქი, ბევრად უფრო შინაურულია, ვიდრე ბუენოს-აირესი.

* * *

დღევანდელი რომაელები იმავე გზით მიდიან სამსახურში, რა გზითაც სპარტაკს მოჰყავდა აჯანყებული მონები, წყალსაც კი ნერონის დროს ჩაყრილი წყალსადენიდან სვამენ. შეიძლება ეს ისტორიული სპეციფიკურობაც შველის იტალიელებს იმაში, რომ აქ წარსული იოლად არ ძველდება, გუშინდელი დღე დავიწყებას იოლად არ ეძლევა.

* * *

დღეს ათი ივლისია. ერთი თვეა უკვე იტალიაში ვარ. ამ ქვეყანაში ყოფნა და მით უმეტეს რომში, კაცს რამდენიმე თვე მაინც არ უნდა მოგზეზრდეს. არც მომბეზრებია, მაგრამ... თორმეტში უნდა გავფრენილიყავი და გამოირკვა, რომ ელჩი მიფრინავს ხვალ ჟენევაში, ჩამოვა მხოლოდ ცამეტში და მთხოვა, დაველოდო. თოთხმეტში უნდა შევხვდე, მაგრამ თხუთმეტში მაინც ვერ გავფრინდები. თვითმფრინავი თექვსმეტშია... და აი, დამატებითმა ოთხმა დღემ რომში, რომელიც ყოველთვის საოცნებოა, ახლა ძალიან დამაღონა. შინ საქმეები მელოდება. მელიან ჩვენებიც.

ვაწყობ ვარიანტებს: იქნებ დავტოვო კინოკამერაცა და ფირიც (სულ სამოცი მეტრიღა დამრჩა) და ვთხოვო ტელევიზიის წარმომადგენელს, გადაიღოს ელჩის ინტერვიუ და გამომიგზავნოს ან ვთხოვო გასტონე პრედიერის (თუ დავრჩი, იქნებ დავურეკო, ვრეკავ და ვერ ვახერხებ ჯერჯერობით), ნეაპოლში – ვალდო ძილის (პროფსორს აღმოსავლეთის ინსტიტუტის ისტორიული სემინარისა)...

და თუ დამპირდება საინტერესო ქართულ მასალებს, ორი დღით წავიდე ნეაპოლში...

დღეს გადავიღე ვატიკანის „პროპაგანდა ფიდეს“ ბიბლიოთეკის დირექტორი. გადავიღე ქართული ბიბლია მიხეილ თამარაშვილის მეტად საინტერესო მინაწერით (გადავაღებინე ფოტოპირი და მიმაქვს საქართველოში). ბიბლიას სომეხი ავტორის იტალიური კომენტარები აქვს და თამარაშვილის აღფშთოებული მინაწერი სწორედ ამ კომენტარს ეხება.

გუშინ სასწაულებრივად გადავიღე იტალიის ახალი პრეზიდენტი, მისი გაპრეზიდენტების პირველივე დღე. ეს ფირი უნიკალურია, რადგან გარდა ჩემი ოპერატორ იურასი, არც ერთი უცხოელი ოპერატორი არ ყოფილა იქ.

პერტინი – საოცარი ბიოგრაფიის კაცი.

ამწუთას მომივიდა თავში გენიალური აზრი: ელჩი ხომ წავა მოსკოვში შვებულებაში, მაშინ ჩავალ და გადავიღებ.

ასე რომ, თორმეტში გავფრინდები!

* * *

5.09. დღეს დიდი სიხარული მაქვს. ელჩთან შევედი თამარაშვილის გადასვენების საკითხზე. საელჩოში საგიუეთია, ელჩი და ათი სხვა თანამშრომელი ხვალ დილით მესინაში მიდიან ერთ დიდ ცერემონიალზე. ელჩს უნდოდა, მე და იურაც წავყოლოდით და გადაგვეღო ეს ცერემონიალი, მაგრამ, რა თქმა უნდა, საამისო თანხები საელჩოს არ აქვს. ჩვენ კი უკანასკნელი ფული რომ ამაზე დავხარჯოთ, სამ დღეში უნდა დავბრუნდეთ შინ და დამრჩება გაუკეთებელი ის, რაც ჩემი მთავარი საზრუნავია ახლა – მიხეილის გადასვენება.

ელჩმა მოითხოვა საქართველოს მთავრობის ოფიციალური მიმართვა, მაგრამ დავიყოლიე ჩემს განცხადებაზე, რადგან მეც რაღაც თვალსაზრისით ოფიციალური პირი ვარ (ეს გაჭირვებამ გამახსენა), ე. ი. სსრკ-იტალიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი.

აი, ამ ტიტულით მოვაწერე ხელი განცხადებას და ელჩმა, საკონსულოსა და სხვა თანამშრომლებთან თათბირის შემდეგ (ამ თათბირზე არაფერი შემშლია და ამან თავისი შედეგი გამოიღო), დაადო რეზოლუცია „სოგლასნო“.

ახლა აღარ ვიცი, რაა საჭირო, მგონი, საელჩომ თუ საკონსულომ იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა გაუგზავნოს ნოტა და მერე დაიწყება ყველაფერი ის, რასაც დამპირდნენ იტალიელები – პარლამანტი, პრეფექტურა, ტრიბუნალი, პოლიციის კვესტურა, ჩივიტავეკიასა და სანტა-მარინელას მუნიციპალიტეტები, საექიმო კომისია, ექსჰუმაცია, ახალი სასახლე, საელჩოს ნებართვა იტალიის საგაუოს სახელზე (ნეშტის გატანაზე), საელჩოს ნებართვა საბჭოთა საგაუოს სასახლეზე და რაღაც-რაღაცები, ალბათ, კიდევ, რაც ჯერ არ ვიცი.

ამწუთას ვზივარ ტელეფონთან და ველოდები ჩივიტავეკიას დამკრძალავი ბიუროს პატრონის ლიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი.


რეზო თაბუკაშვილი მეუღლესთან, შვილიშვილთან და რძალთან ერთად

ზარს, რომ ყველაფერზე მოვილაპარაკო. ხვალ პარასკევია, ამ დღის დაკარგვა არ შეიძლება, თორემ სამი დღე ერთად დამეკარგება, არადა თხუთმეტში უკანასკნელი ვადაა ჩემი შინ დაბრუნების, თხუთმეტამდეც თუ გავუძელი სასტუმროს ხარჯს, თორემ სასმელ-საჭმელს მე და იურა აქლემებივით გადავეჩვიეთ.

არ ვიცი, რა დამიჯდება გადასვენება, მაგრამ რაც არ უნდა დაჯდეს...

არ მეგონა, თუ საელჩოს ასე, შედარებით იოლად დავიყოლიებდი, მით უმეტეს დღეს, როცა რამდენიმე დიდი პოლიტიკური უსიამოვნება შეხვდათ დილიდანვე.

„თეთრო გიორგი! შენ მომიმართე ხელი ამ ქართულ საქმეში, თუ ის მართლა ისე მნიშვნელოვანია, როგორც მე მგონია“.

* * *

ცამეტი მაისი, 1980 წ. – ჩამოვფრინდი მილანში. რა თქმა უნდა, „გოსკინო“-ს შეპირება, რომ ტელექსს გამოგზავნიდნენ ჩვენი დახვედრის თაობაზე, მორიგი ტყუილი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მათ მიერ მივლინებაში გამოგზავნილებად ვითვლებოდით (ეს პირველი შემთხვევაა, როცა მე ოფიციალურად, როგორც ტურისტი, ვიღებ ფილმს).

„გოსკინო“-ს არც ერთი კაპიკი არ მოუცია. ისინი მხოლოდ საგუთების გამფორმებლები არიან, რადგან მხოლოდ მას, როგორც საკავშირო ორგანიზაციას, აქვს უფლება, გააფორმოს მივლინება. ამიტომაა, რომ მე ვარჩევ ტურიზმს, კერძო მიწვევას და სხვა. ეს საბრალოა მატერიალურად, ძნელია პრაქტიკულად, ამბიციურადაც, მაგრამ მე ეს არ მაღელვებს, რადგან დიდებულია, რომ ამ დიდ ვირიშვილებთან არ მაქვს არავითარი კავშირი.

ამდენი უქნარა და უნიათო ადამიანი დატინგიცებს ევროპაში და ერთი ოპერატორის გაგზავნა ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე გადაუჭრელი პრობლემა გახდა.

შემოიარა ფიროსმანის გამოფენამ ევროპა (პარიზში ის მალრომ გახსნა, ლუი არაგონი გამოვიდა და ა. შ.), მაგრამ არც ერთი კინოკადრი არ დარჩენილა საგუთად მომავალი თაობისთვის.

ვისი ბრალია? დამნაშავეს, როგორც ყველა სხვა საკითხში, ვერ იპოვი, რადგან მოგონილია დი-

დებული სისტემა – **როცა პერსონალურ პასუხისმგებლობას ცვლის კოლექტიური უპასუხისმგებლობა.**

* * *

ავადმყოფოებისთვის ხანგრძლივი დრო კი არა, წუთი არა მაქვს. ვიტორიო სელას არქივის პოვნამ ახალი საკითხი წამოჭრა: სელას დღიურებში, სქოლიოში არის ერთი ცნობა, რომელმაც მთლად ამამღვრია; სელას ასი წლის წინ სვანეთიდან გამოუტანია ორი ტომი ქართული ხელნაწერებისა და მიუბარებია ტურინში. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობსო – წერს სელა – ეს თამარ მეფისდროინდელი ხელნაწერებიაო. თამარს თავი დავანებოთ, საქართველოში ყველა ციხეს და ყველა სიძველეს თამარისდროინდლად თვლიან, მაგრამ რა დროისაც არ უნდა იყოს, როგორ მივატოვო აქ ქართული ხელნაწერები. რა ვარიანტებია შესაძლებელი:

1. ტორინოს ალპური კლუბის არქივი.
2. ტორინოს ალპური მუზეუმის არქივი.
3. ტორინოს ალპური ბიბლიოთეკის არქივი.

თუ აქ არ აღმოჩნდა, იქნებ ალპურმა დაწესებულებებმა, როგორც მთასთან და მთამსვლელებთან არავითარი კავშირის მქონე, ხელნაწერები გადასცეს რომელიმე ჩვეულებრივ ბიბლიოთეკას.

როგორც გავიგე, ბიბლიოთეკა ტორინოში მრავალია. ყველა უნდა გაისინჯოს მაშინ.

სელას მუზეუმში ის არ არის, ეს უკვე დავაზუსტე, მაგრამ იქნებ სელას შთამომავალთა რომელიმე ოჯახშია, ისევე როგორც სხვა მრავალი სელასეული ნივთი.

ბანკირმა ლოდოვიკომ გუშინწინ მითხრა, რომ ჩვენ, სელას შთამომავალთა 35-მა ოჯახმა, რომელიც იტალიაში ცხოვრობს (და ერთი ამდენი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია გაფანტული), გადავწყვიტეთ, მოვაგროვოთ ყველაფერი, რაც სელას ეხებაო.

მაშასადამე, გამორიცხული არაა, რომ ქართული ხელნაწერების არსებობა რომელიმე ამ ოჯახშია. სხვა ქვეყნებში ვერ მივწვდები, მაგრამ აქ, იტალიაში მცხოვრებთა არქივების შემოწმება მაინც რაიმე გზით უნდა ვცადო.

ლუდოვიკოს ვუთხარი, რომ რაც არ უნდა დაჯდეს, შევიძენმეთქი (რა ვიცი, როგორ, მაგრამ, ალბათ, გზა მოიძებნება). თქვენთვის ეს ყოვლად უსარგებლო ხელნაწერია და ჩვენთვის, იქნებ მნიშვნელოვანი-მეთქი.

ძებნა უკვე დაწყებული მაქვს, მაგრამ სადაა დრო? ამასთან, ახლა კიდევ მაღალი სიცხე.

* * *

23 სექტემბერი. ათ წუთში გავა მატარებელი ბიელასაკენ, მივდივარ არქივის წამოსაღებად. ისტორიული დღეა და გული მწყდება, რომ ასე მოღრუბლულია ცა. გუშინ ბანკირმა ლუდოვიკომ ტელეფონით მითხრა, რომ არქივის 84 პოცენტი მზადაა. თუ არადა, ათ დღეში, მოწყალეა ღმერთი, პარიზში ვიქნები და დანარჩენს იქ გადმომიგზავნის.

სულ იმის შიში მაქვს (და რა თქმა უნდა, ჯერჯერობით მაინც უსაფუძვლო), რომ ბანკირი შეიტყობს არქივის უნიკალურობას, იმას, რომ არაფერი ამ არქივისა, ერთი ნაგლეჯი ქართულიც კი, ფოტოებზე რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოს არ მოეპოვება და რომ ამ არქივით მთელი საქართველოა დაინტერესებული და არა მხოლოდ მე, როგორც კერძო პიროვნება. და თუ ეს შეიტყო (ჯვარი გვწერია), არქივის ფასი ისეთ ციფრს შეადგენს მაშინ, რომ საქართველო ვერასოდეს გამოისყიდის მას. მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა.

საათ-ნახევარში უკვე მაგიდაზე ჩემ წინ იქნება გაშლილი ასი წლის წინანდელი სვანეთი და რაჭა. ის სვანეთი და რაჭა, რომლებიც მხოლოდ ამ ფოტოებზე არსებობს მთელს მსოფლიოში და აღარსად სხვაგან. ამ ბოლო ხელნაწერების ძებნის საკითხში ბევრი რამ გავაკეთე, მაგრამ ჯერ რეზულტატი არაა. სელას ოჯახის ერთ-ერთი ცნობა ასეთია: ამერიკაში ცხოვრობს ერთ-ერთი სელათაგანი, რომელსაც რაღაც ხელნაწერი აღმოაჩნდა სახლში, მაგრამ არ იცის მისი წარმოშობა.

ერთი გვერდის ფოტოპირი გადააღებინა და გამოგზავნა. წუხელ ის ფურცელი უკვე ბიელაში იყო.

დღეს უნდა შევამოწმო!

ღმერთო!..

ვინ იყო ელენე დარიანი?

(დისკუსიის დასასრულისთვის)

ჩვენს პუბლიკაციას, შესაძლოა, ამგვარი სათაურიც ჰქონდეს: „ფაქტი უკომენტაროდ“, რადგან საარქივო მასალას, რასაც დღეს მოგაწვდით, ვფიქრობთ, მკითხველისთვის განსაკუთრებული ახსნა-განმარტება არ სჭირდება.

ალბათ საბოლოოდ დასრულდება უსაგნო, სენსაციებს ადევნებული და, სხვათა შორის, მავანთა მიერ კარგად დაფინანსებული კომპანია, რითაც პაოლო იაშვილის დარიანული ლექსების ავტორად ასახელებენ გასული საუკუნის ფრიად მოკრძალებული ნიჭის პოეტესას ელენე ბაქრაძეს.

გთავაზობთ გამოუქვეყნებელ ლექსებს (ავტოგრაფის სახით) ელენე ბაქრაძე-ბერიშვილ-ქართველიშვილის პირადი არქივიდან (ქ-ნ ელენე ორივე მეუღლის გვარს ატარებდა). აქვე ვაქვეყნებთ პაოლო იაშვილის, ჩვენთვის ესოდენ ძვირფას ლექსებს ციკლიდან „ელენე დარიანის დღიურები“.

დასკვნა ჩვენი მკითხველისთვის მიგვინდვია, შეიძლება თუ არა ამ ლიტერატურას (შედევრებს და აბსოლუტურ პოეტურ უსმენობას) საერთო ავტორი ჰყავდეს.







ელენე ბაქრაძე

პაოლო იაშვილი

წერილი ანა ახმატოვას

მე მინდა გითხრა სამძიმარი:
რომ ბლოკი მოკვდა!
ხანდახან ჩუმი და მძინარი
მეცა ვარ ბლოკთან.
ჩამოდი ჩემთან. მე მგონია
ვიქნებით დები:
თუ პეტერბურგის აგონია
გიყვარს... და ვცდები.
თბილისის მადლი და შვენება
გიშველის, ვიცი.
ორივეს ერთად გვეჩვენება
წასული პრინცი.
შენ დაღალული გიბანია
სხეული ნისლში...
ჩემი ქვეყანა ისპანია
არის ივლისში.
მე ცოტა მიცნობს: სხვანაირი
მეწვია ბედი.
შენთვის საჩუქრად მაქვს დაირი
და ოქროს გედი.
ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი,
ლოყებს აგინთებს;
აკოცე შენი ცივი ტუჩით
თამარის თითებს.

პარიზისაკენ

უნდა აყვავდეს მალე ქვიშნები,
უნდა ბალახი დილამ დათრთვილოს:
მე ამ ზაფხულზე დავინიშნები
და მივატოვებ ჩემს საქართველოს.

მე დავშორდები ძვირფას პოეტებს
და თან წამყვება ვაჟას კრებული;
ჩემ ლექსს ბალიშ ქვეშ ვინ ამოიდებს
ჩემი კოცნებით გაოგნებული.

ჩემო ქვეყანა, მეტად ძნელია
შენი დაკარგვა და დატოვება;
სოფლის ბავშვები აღარ მელიან,
არ მელის მუხა ათასრტოება.

ჩემო ქვეყანა, ვიცი პარიზი
არი გულის და თვალის ამხელი.
ვიცი მომელის მე უარესი,
ალბათ გატყდება ჩემი სახელი.

აქ ჩემ სულს კიდევ მზე მოუვლიდა,
დაშორებულს კი ვეღარ მიშველი;
იქნებ დაიწყოს ცოდვა ლუვრიდან
და გადავიქცე მე ბულ მიშელი.

მაგრამ არ მინდა ლხინი ჭიქების,
მინდა მივიდე შეუცოდველი
ყრუ მონასტერში კათოლიკების,
სადაც მიკითხავს ლოცვას კლოდელი.

მაშინ დავცინებ მე ჩემს საროს ტანს,
უკვე დაქანცულს ვნების წვალებით...
მე ვეღარ მივალ სოფლის წყაროსთან
და ვერც თამაშით დავიღალები.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სკანდალი „ორ გვამთან“ და „რუს მრჩევლებთან“ დაკავშირებით

შესაძლებელია ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურას სააკაშვილის მთავრობაში, საქართველოს ყოფილ პრემიერსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელს ვანო მერაბიშვილს წაუყენონ ახალი ბრალდება, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება ვიდეოჩანაწერის სინამდვილე, რომელიც სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად ვიდეორგოლში ფიგურირებს მერაბიშვილი, რომელიც ამბობს შემდეგ სიტყვებს: „მე მინდა ორი კაცი, ორი გვამი, მომიტანეთ ეს ორი გვამი და, მორჩა. პრემია დიდია“. იქვე მყოფი ძალოვანები იხსენებენ მუხროვანს, სატანკო ბატალიონს, რომელიც ოფიციალური ვერსიით, 2009 წლის მაისში მოელა-პარაკა რუსეთის სპეცსამსახურებს ნატოს სწავლების ჩაშლისა და სამხედრო გადატრიალების ორგანიზაციის მიზნით.

გავრცელებულ ვიდეოკადრებში შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი მოითხოვს „ორ გვამს“ და ჰპირდება „დიდ პრემიას“

მას შემდეგ, რაც 2009 წლის 5 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა შეთქმულების გახსნის შესახებ, რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე დაიმალა. მოგვიანებით, სპეცოპერაციის შედეგად დაიღუპა ეგრეთ წოდებული „ამბოხების“ ერთ-ერთი დამალული ხელმძღვანელი — ოფიცერი გია კრიალაშვილი, მეორე კი — კობა ოთანაძე დაიჭრა და შემდეგ დააპატიმრეს. 2013 წლის იანვარში მას შემდეგ, რაც საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება, ძალაში შევიდა კანონი ამნისტიის შესახებ, ოთანაძე აღმოჩნდა იმ 190 გათავისუფლებულ ადამიანს შორის, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა პოლიტპატიმრებად მიიჩნია.

მაშინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა, რომ ამნისტიის შესახებ კანონის მიღებით საქართველოს ახალი მთავრობა „კისრულობს პასუხისმგებლობას იმ მეტად მძიმე შედეგებზე, რაც მოჰყვება ძალიან ბევრი დამნაშავის და რუსეთის ჯაშუშების გათავისუფლებას“.

სააკაშვილის პარტიის წარმომადგენელმა, საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა გიორგი გაბაშვილმა ამნისტიას უწოდა ახალი ხელისუფლების „კაპიტულაცია“ რუსეთის სპეცსამსახურების წინაშე.

„ორი რუსი მრჩეველი“

თავად ვანო მერაბიშვილი, რომელიც ამჟამად პატიმრობაში იმყოფება (მას ადრე წაუყენეს მთელი რიგი ბრალდებები), აღიარებს სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეოკადრების სინამდვილეს და ამტკიცებს, რომ, როდესაც საუბრობდა ორ გვამზე, მხედველობაში ჰყავდა „ორი რუსი კონსულტანტი“, რომლებსაც, მისი სიტყვებით, კავშირი ჰქონდათ მუხროვანის ამბოხების ხელმძღვანელებთან და მოგვიანებით გაანადგურეს თავად „მეამბოხეებმა“.

„მე კარგად მახსოვს ეს ჩანაწერი, იგი ხდებოდა ღიად. არ მრცხვენია იმისა, თუ რას ვლაპარაკობდი. ეს ჩემი მოვალეობა იყო. ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ ამბოხებაში მონაწილეობდა ორი რუსი მრჩეველი, რომლებიც თავად გაანადგურეს მეამბოხეებმა კვალის დასაფარავად და ჩვენ ვიცოდით ამის შესახებ. ბრძანება გავეცი ამ გვამების მოსაძიებლად, რათა დაგვედასტურებინა ამ ამბოხების კავშირურთიერთობა რუსეთთან“, — განაცხადა 30 იანვარს ვანო მერაბიშვილმა თავისი სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს.

მან ასევე აღნიშნა, რომ მზადაა ითანამშრომლოს პროკურატურასთან ამ საქმესთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უკვე განაცხადა ამ საქმის გამოძიების დაწყების შესახებ, რომლის ფარგლებშიც „შეისწავლის იმ სპეცოპერაციის კანონიერებას, რომელიც განხორციელდა მუხროვანში და რომელმაც მიგვიყვანა კობა ოთანაძის ჯანმრთელობის სერიოზულ დაზიანებასთან და გიორგი კრიალაშვილის ლიკვიდაციასთან“.

კომენტარები

თავად მონაწილენი ეგრეთ წოდებული „ამბოხებისა“, უარყოფენ მათ წინაშე 2009 წელს წაყენებულ ბრალდებას და ამტკიცებენ, რომ ხელისუფლების მოქმედებები მაშინ გამოწვეული იყო ბატალიონის სურვილის უქონლობით — მონაწილეობა მიეღო ანტისამთავრობო დემონსტრაციის დაშლაში, რომელიც თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა თბილისში ცენტრალურ პროსპექტზე.

როგორც 30 იანვარს პრესკონფერენციაზე ამბოხებაში მონაწილეობისთვის მსჯავრდადებულმა კობა ოთანაძემ განაცხადა, მაღალი თანამდებობის სამხედროები აპირებდნენ პროტესტის ნიშნად დაეტოვებინათ თავიანთი თანამდებობები, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია „პროვოკაციის“ განხორციელება მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საზოგადოებრიობას მოუწოდა პატივი სცენ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს და დაელოდონ გამოძიების შედეგებს.

მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სკანდალური ვიდეო ქსელში ჩატვირთა ხელისუფლებამ მოსახლეობის ყურადღების გადატანის მიზნით გააკეთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან და სააკაშვილის მთავრობის ექსჩინოვნიკების წინააღმდეგ გამოუძიებელი საქმეების გადაფარვის სურვილით.

ნატოს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაჰიუმ მოუწოდა საზოგადოებრიობას, თავი შეიკავოს წინასწარი დასკვნებისგან. მან განმარტა, რომ ნატოს ოფისს ჰქონდა გარკვეული ინფორმაცია მუხროვანის ამბოხების შესახებ, მაგრამ, როგორც ლაჰიუმ განაცხადა, ამ ეტაპზე საკითხის „მგრძნობელობის“ გათვალისწინებით, იგი არ გააკეთებს კომენტარებს ამ ამბავთან დაკავშირებით.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ის იყო დაიწყეს შეთანხმება, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ უკრაინაში, რომ ჩიხში შევიდნენ. სამხედროებმა იანუკოვიჩს მოუწოდეს, მიიღოს სასწრაფო ზომები

ამავე დროს რეგიონების მმართველ პარტიაში ოპოზიციას ბრალი დასდეს მოლაპარაკების პროცესის ჩაშლაში. მისმა ერთ-ერთმა დეპუტატმა განაცხადა, რომ „ან პირდაპირ, ან შეუგნებლად ოპოზიციის წარმომადგენლები ახორციელებენ სამოქალაქო ომის დაწყების და სახელმწიფო სუვერენიტეტის განადგურების გეგმას“.

ათასობით ებრაელმა ილოცა გოდების კედელთან „ჯონ კერისგან გათავისუფლებისთვის“

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს, რომელიც შუამავლად გამოდის პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებაში, აქტიურად აკრიტიკებენ უკვე ერთი თვეა. ისრაელის მემარჯვენე სექტორი მიიჩნევს, რომ მტერი აწარმოებს ისრაელისთვის არახელსაყრელ პოლიტიკას, ანდა სულაც ხედავენ მასში „ერთგვარ ანტისემიტურ ულერადობას“.

მექსიკაში, საიდანაც 2009 წელს დაიწყო ღორის გრიპის პანდემია, კვლავ იზრდება დაავადებულთა და მსხვერპლთა რიცხვი

იანვრის დასაწყისიდან დარეგისტრირებულია გრიპით დაავადების 2235 შემთხვევა, ამ დროს 251 კაცი გარდაიცვალა. სასიკვდილო შემთხვევების ნახევარი 8 დღის განმავლობაში მოხდა, 23-დან 30 იანვრამდე. ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში არ ჩქარობენ ისაუბრონ ეპიდემიაზე, გვარწმუნებენ, რომ ეს ჩვეულებრივი სეზონური მოვლენაა.

ავსტრალიაში მსოფლიოში უდიდესი ქვანახშირის ნავსადგურის მშენებლობა იმუქრება გაანადგუროს დიდი საბარიერო რიფი

მშენებლობა საშუალებას მისცემს ავსტრალიას ორმაგად გაზარდოს ენერგოშემცველების ექსპორტი და გაიყვანოს ქვეყანა ქვანახშირის მიწოდებაში მსოფლიო ლიდერად. მაგრამ ოკეანის ფსკერის გაღრმავებისთვის წარმოებულ სამუშაოებს შეუძლიათ, მოუტანონ გამოუსწორებელი ზიანი ეკოსისტემას, რომელიც არა მხოლოდ ბუნების ძეგლია, არამედ იცავს კონტინენტსაც სტიქიისგან.

დაზუსტება საჯარო განხილვის შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ აცხადებს, რომ 2014 წლის 18 მარტს, სამშაბათს, 12:00 საათზე თიანეთის გამგეობის შენობაში და 15:00 საათზე დუშეთის გამგეობის შენობაში დაგეგმილია შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის კმ 10 -კმ 23 მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

გზშ პროექტი და არატექნიკური რეზიუმე ხელმისაწვდომია:

• გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურში, ქ.თბილისი, გულუას ქ. №6 (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);

• საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge

გთხოვთ წერილობითი შენიშვნები და კომენტარები გამოუგზავნოთ მითითებულ საკონტაქტო პირებს; ლუიზა ბუბაშვილს, ტელ: 595219141 likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

„მხედრიონი“ — ბოროტების მხედრობა

ყველაფერი ეს გამოკვეთს მკვლელობის მოტივს, ადასტურებს, რომ გ. გულუასა და „მხედრიონს“ შორის, ერთი მხრივ, და გ. გულუასა და უშიშროების სამსახურს შორის, მეორე მხრივ, სერიოზული დაპირისპირება იყო.

მკვლელობის საბაბი კი გახდა „მხედრიონის“ შტაბბინის თითქოსდა გ. გულუას ბრძანებით აფეთქება, რის შესახებაც ინფორმაცია ჯ. იოსელიანს და გ. გელაშვილს, როგორც გამოძიება ვარაუდობდა, ი. გორგაძემ და თ. ხაჩიშვილმა მიაწოდეს. სწორედ ამის გამო განხორციელდა ტერორისტული აქტი.

გენერალი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში, ხელს უწყობდა ქვეყანაში მშვიდობისა და კანონიერების დამკვიდრებას.

აფხაზეთის ომის შემდეგ, როცა სატრანსპორტო პოლიციას ჩაუდგა სათავეში, მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში ყოველმხრივ უშლიდა ხელს „მხედრიონის“ ბაზაზე ჩამოყალიბებულ კრიმინალურ ფორმირებათა ხელმძღვანელებს და წევრებს, რომ საკუთარი ინტერესებისთვის, დანაშაულებრივი მიზნებისთვის გამოეყენებინათ ტრასები, მიმოსვლის საშუალებანი.

არადა, მათთვის სწორედ ეს იყო აუცილებელი ეკონომიკური სადავეების ხელში ჩასაგდებად, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა სფეროში დასამკვიდრებლად და პოზიციების გასაძლიერებლად.

ერთი სიტყვით, გენერალი გ. გულუა ძვალივით გაეჩხირა ყელში „მხედრიონს“, სხვებს.

ამიტომ მისი თავიდან მოცილება გადაწყდა.

თავიდან მოცილება ამ შემთხვევაში ფიზიკურად მოსპობას ნიშნავს.

გადაწყვეტილება 1994 წლის აპრილის დასაწყისში მიიღეს.

აქ სხვა კუთხითაც უნდა გავიაზროთ მოვლენათა მსვლელობა.

ნათქვამია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო.

და ქვეყანას გადაუარა ტერორის — პოლიტიკურ მკვლელობათა სერიამ.

გენერალი გულუა პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა.

მკვლელობის მომზადებაში (დაგეგმვით უფრო ზევით — მაშველთა კორპუსში დაიგეგმა), მაშველთა კორპუსის თავმჯდომარის მრჩეველმა ზურაბ ქარსელაძემ, მეტსახელად „იუზგარამ“ (იგი სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისთვის ადრე მსჯავრდებული იყო), ნიკოლოზ გედევანიშვილმა — მაშველთა კორპუსის სატრანსპორტო ბაზის უფროსმა, წარსულში სახელმწიფო ქონების ქურდობისთვის ასევე ნასამართლევმა, ბორჯომის „მხედრიონის“ წევრებმა გოჩა თედიაშვილმა და გოჩა გელაშვილმა, თემურ ქურდიანმა, პ. პავლიაშვილმა, მეტსახელად „სნაიპერამ“ და სხვებმა.

ყველაფერი საგულდაგულოდ დაიგეგმა და შეჯერდა.

1994 წლის 19 აპრილს რამდენიმე ავტომანქანით ავიდნენ ნუცუბიძის პლატოს IV მიკრორაიონში, მე-4 გიმნაზიის (გერმანული სკოლის) მიმდებარე ტერიტორიაზე. იქ, გია გულუას საცხოვრებელი სახლის სიახლოვეს, შეარჩიეს მკვლელობისათვის ხელსაყრელი ადგილი, დააზუსტეს ყველა დეტალი.

მოილაპარაკეს, რომ გია გულუას ესროდნენ გოჩა თედიაშვილი, გოჩა გელაშვილი, ნიკოლოზ გედევანიშვილი და „სნაიპერა“.

ყველაფერი მზად ჰქონდათ: იარაღი, რადიოგადამცემები. ავიდნენ ნუცუბიძის პლატოზე, იქ, IV მიკრორაიონში, გერმანულ სკოლასთან, წინასწარ შერჩეულ ადგილზე ჩასაფრდნენ.

მეკავშირედ თემურ ქურდიანი ჰყავდათ.

დაახლოებით 10 საათზე გია გულუას საცხოვრებელ კორპუსთან მდგარმა თ. ქურდიანმა ჯგუფის წევრებს აცნობა, გენერლის სამსახურებრივი მანქანა დაიძრაო.

გენერალი გია გულუა, რომელსაც არაერთხელ ჩაუხედავს სიკვდილისთვის თვალებში ბრძოლის ველზე, თავის უკანასკნელ გზაზე მიდიოდა. ვერასოდეს გავიგებთ, რას ფიქრობდა იგი იმ წუთებში, მაგრამ სავარაუდოა, რომ ღალატს არ ელოდა, თორემ იქნებ მომზადებული შეხვედროდა თავდასხმას, ტყვიისთვის ტყვია შეეგებებინა, თავდაცვა ეცადა.

მანქანაში მარტო არ იყო: მძღოლ ე. ბახტაძის გარდა, თბილისის რკინიგზის ცენტრალური სადგურის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების უფროსის მოადგილე ზ. კვიცინაძე ეჯდა.

გერმანულ სკოლას გაუსწორდა თუ არა, მანქანას ავტომატმომარჯვებული ნიკოლოზ გედევანიშვილი, გოჩა თედიაშვილი და გოჩა გელაშვილი გადაუდგნენ გზაზე (ნ. პავლიაშვილი მანქანაში, საჭესთან დარჩა). დაახლოებით 50 მეტრიდან ტყვია დააყარეს, ერთიანად დაცხრილეს.

მერე მშვიდად მიუახლოვდნენ და ჩახოცილებს რამდენიმე საკონტროლო ტყვია მოუნაცვლეს.

ეს ნიკოლოზ გედევანიშვილის ერთადერთი მკვლელობა როდი იყო.

1994 წლის 28 თებერვალს აგლაძის ქუჩაზე მდებარე სადღეღამისო ავტოსადგომის ტერიტორიაზე, რომელიც იმხანად მაშველთა კორპუსს უნდა გადასცემოდა, ერთ-ერთი მოქალაქე თავისი კუთვნილი გარაჟიდან შიფერის სახურავს ხსნიდა. ამ დროს იქ ნიკოლოზ გედევანიშვილი გამოჩნდა. გარაჟის პატრონს შეუკურთხა, ახლავე მოეშვი მაგ სახურავს და აქედან მოშორდიო. იმის დასამტკიცებლად, რომ არ ხუმრობდა, პისტოლეტიდან რამდენჯერმე ისროლა ჰაერში.

ბუნებრივია, იმ კაცს შეხსენება აღარ დასჭირვებია.

სროლის ხმაზე ავტოსადგომთან დიდუბის რაიონის პოლიციის თანამშრომლები თემურ ჩუბინიძე და ზურაბ ფერაძე მივიდნენ.

პოლიციელებმა ნ. გედევანიშვილს თავიანთი პირადობის მოწმობები წარუდგინეს და მოუწოდეს, ხულიგნობა შეწყვიტეო.

შეწყვიტა კი არა...

მე მხედრიონელი ვარ, ჩემს ტერიტორიაზე ვიმყოფები და იმას ვიზამ, რაც მსურსო.

პოლიციელებმა კვლავ წესრიგისკენ მოუწოდეს და საბუთი მოსთხოვეს.

გედევანიშვილმა პისტოლეტი იძრო და თ. ჩუბინიძესა და ზ. ფერაძეს ტყვია დაუშინა.

ორივე მძიმედ დაჭრა.

თ. ჩუბინიძე საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მკვლელმა ძირს დაცემულ თ. ჩუბინიძეს ტაბელური ავტომატი აართვა და შეეცადა ახლა იმით დაეცხრილა დაჭრილი პოლიციელები, მაგრამ მჭიდში ტყვიები არ აღმოჩნდა.

ავტომატი გაიტაცა და მიიმალა (ეს იარაღი მან ერთხანს ატარა, შემდეგ კი „მხედრიონის“ საიარაღოში ჩააბარა).

...გია გულუა ტერორისტული სერიის პირველი მსხვერპლი იყო.

სიაში სხვებიც იყვნენ...

* * *

უკვე ვთქვით: ძალადობა და მისი ბოროტი პირმშო — ტერორიზმი აზანზარებს მსოფლიოს.

მკვლელთა ხელით აღესრულნენ ამერიკის პრეზიდენტი ჯონ კენედი, მისი ძმა სენატორი რობერტ კენედი, აშშ ზანგთა უფლებებისათვის მებრძოლი მარტინ ლუთერ კინგი, იტალიის პრემიერ-მინისტრი ალდო მორო, ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი, შვედეთის მთავრობის მეთაური ულოფ პალმე, ისრაელის პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი, ინდოეთის პრემიერ-მინისტრები, დედა-შვილი ინდირა და რაჯივ განდები... თავს დაესხნენ აშშ პრეზიდენტებს ფორდს, რეიგანს. თავის დროზე სიკვდილს ძლივს გადაურჩნენ შარლ დე გოლი, რომის პაპი იოანე-პავლე II...

ვინ ჩამოთვლის რამდენი რანგით უფრო დაბალი ადამიანი ემსხვერპლა ტერორიზმს.

პოლიტიკური ძალადობა ფართოდ გავრცელდა „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში, როგორც ხელისუფლებისთვის ბრძოლის საშუალება.

ხანდახან ტერორისტთა სამსახურით სარგებლობდნენ არა მარტო ექსტრემისტული დაჯგუფებები („ირლანდიის რესპუბლიკური არმია“, იტალიური „წითელი ბრიგადები“, მრავალრიცხოვანი არაბული დაჯგუფებები), არამედ სახელმწიფოებიც (მაგალითად, ესპანელი მერკედერი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა ლევ ტროცკის მოკვლისთვის 1940 წელს).

XIX საუკუნის ბოლოს ფრანგმა ანარქისტებმა დანერგეს ტერორის უსაშინელესი მეთოდი — ბომბის აფეთქება ხალხმრავალ ადგილებში, რისი მსხვერპლნიც შემთხვევითი ადამიანები არიან. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენეს რუსმა რევოლუციონერებმა (ააფეთქეს იმპერატორი ალექსანდრე II, მინისტრები პლევე, საზონოვი...).

ამჟამად ამ სახის ტერორიზმი მსოფლიოში ეპიდემიასავით არის მოდებული. გავიხსენოთ ატლანტაში, ოლიმპიურ პარკში მომხდარი აფეთქება, 1993 წელს ისლამისტი ტერორისტების მიერ მოწყობილი მძლავრი აფეთქება ნიუიორკის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრში, ორი წლის შემდეგ კი მემარჯვენე რადიკალი ფანატიკოსების ავტორობით — ოკლაჰომასიტის ფედერალურ შენობაში. 1994 წლის ივლისში ბუენოს-აირესში ააფეთქეს არგენტინა-ისრაელის ასოციაციის შენობა, რამაც თითქმის 100 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. იაპონელთათვის ნამდვილ ელდად იქცა რელიგიურ „ფანატიკოსთა გაზით შეტევა ტოკიოს მეტროში. 1995 წელს სისხლიანი აფეთქება მოხდა მოსკოვის მეტროში.

პლანეტას თავზარი დასცა ნიუ-იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის „ტყუპ“ შენობებზე თვითმფრინავებით შეტევამ 2001 წლის 11 სექტემბერს, რამაც სამი ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ დაასკვნა, რომ ტერორიზმთან ბრძოლა სპეციალურმა ორგანიზაციებმა უნდა წარმართონ.

პირველად ამ გზას დიდი ბრიტანეთი დაადგა. 1941 წელს პოლკოვნიკ დევიდ სტირლინგის მეთაურობით შეიქმნა სპეციალური საავიაციო სამსახური — ელიტური მაღალპროფესიული ანტიტერორისტული ორგანიზაცია. მისი მოდელით ჩამოყალიბდა ამერიკული „დელტა“, გერმანული „საზღვრების დაცვის ჯგუფი“, ესპანეთის „სპეციალური ოპერაციების ჯგუფი“, საფრანგეთის ეროვნული ჟანდარმერიის ანტიტერორისტული ქვედანაყოფი, იტალიური სპეციალური დანიშნულების ჯგუფები კარაბინერთა შემადგენლობაში.

მსოფლიოში საუკეთესო რეპუტაცია აქვს ისრაელის დაზვერვას „მოსადს“. იგი ერთადერთია, ვინც ტერორისტებს მათივე მეთოდებით ებრძვის, ფიზიკური მოსპობის ჩათვლით, თუმცა ეს რეპუტაცია ცოტა არ იყოს შეირყა იცხაკ რაბინის მკვლელობის შემდეგ.

რუსეთში ტერორიზმთან ბრძოლით 1995 წლის შუახანებიდან დაკავებულია უშიშროების სამსახურის ანტიტერორისტული ცენტრი, მაგრამ პირველმა სერიოზულმა გამოცდებმა — პერვომაისკის, ნორდ-ოსტის, ბესლანის მოვლენებმა აჩვენა, რომ ცენტრის სრულყოფილებამდე ჯერ შორია.

ტერორიზმის წინააღმდეგ კოორდინირებული ერთიანი ბრძოლა საქართველოში ახლა იდგამს ფეხს უშიშროების სამსახურის წიაღში. ჩამოყალიბებულია სპეცდანიშნულების რაზმები: „ალფა“, „ომეგა“, „დელტა“.

ეს ახლა, თორემ მაშინ, როცა საქართველოში რამდენიმე ტერორისტული აქტი განხორციელდა და შოკში ჩაგდო საზოგადოებრიობა, შიშის, მიუსაფრობის, დაუცველობის ატმოსფერო შეიქმნა. თურმე ძალოვანთა მაღალ კაბინეტებში იგეგმებოდა ყველაფერი, ის იყო ბოროტების ერთ-ერთი სათავე.

სწორედ იქ დაგეგმილა სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობაც.

ახალ მკვლელობას, ფართო ვერაგული მიზანი ჰქონდა და არა მხოლოდ კიდევ ერთი ადამიანის ფიზიკური განადგურება.

უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიერ 1994-1995 წლებში განხორციელებული თავდასხმების, გენერალ გია გულუასა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, ცნობილი პოლიტიკოსის გია ჭანტურიას (ამაზე შემდგომ ვისაუბრებთ) მიმართ ტერორისტული აქტებისა და სხვა მძიმე დანაშაულთა მიუხედავად, 1995 წლის ზაფხულში ქვეყნის სტაბილიზაციის პროცესი აშკარა გახდა.

ამ პროცესს გვირგვინად დაედგა უმნიშვნელოვანესი მოვლენა: მომზადდა და პარლამენტს განსახილველად გადაეცა სახელმწიფო სუვერენიტეტის, კანონიერებისა და სტაბილიზაციის გარანტი, უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტი — კონსტიტუცია.

ქვეყანა ქვეყანას ემსგავსებოდა. მსოფლიომ მხარი დაუჭირა საქართველოს.

ამან შეთქმულნი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ხელისუფლების ხელში ჩაგდების განსახორციელებლად აუცილებელი იყო ახალი ტერორისტული აქტის მოწყობა, რათა ქვეყანა პოლიტიკურად დასუსტებულიყო.

სამიზნედ ედუარდ შევარდნაძის ფონდის „აღორძინება და დემოკრატიის“ ვიცე-პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძის მეგობარი და მარჯვენა ხელი სოლიკო ხაბეიშვილი შემთხვევით არ შეურჩევიათ.

ალეკო ასლანიშვილი.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 12-21

◎ რაგბი

მიზანი — მსოფლიოს თასის ფინალი

დღეს თბილისში მორაგბეთა ევროპის ერთა თასის 2013-2014 წლების გათამაშების მე-2 წრის პირველი მატჩი გაიმართება. ეს შეჯიბრება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპიცაა და

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ჩვენი გუნდი რომელ ადგილზე გავა. შარშანდელი შედეგებით „ბორჯღალოსნები“ რუმინელებთან პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ და ტურნირის ბოლომდე დღევანდელი პოზიციის შენარჩუნების შემთხვევაში მსოფლიოს თასის დასკვნით ეტაპზე უპრობლემოდ მოხვდებიან.

ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა საქართველოს ნაკრები „შევარდნის სანაკრებო ბაზაზე“ ავარჯიშა და საბრძოლო შემადგენლობაც გამოაცხადა. ბელგიელების წინააღმდეგ საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: 15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. გიორგი შკინინი, 10. ლაშა ხმალაძე, 9. გიორგი ბეგაძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. კონსტანტინე მიქაუტაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. გიორგი თხილაიშვილი, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. დიმიტრი ბასილაია. 16. შალვა მამუკაშვილი, 17. ზურაბ ჟვანია, 18. ლევან ჩილაჩავა, 19. გიორგი ნემსაძე 20. ვიქტორ კოლელიშვილი, 21. ვაჟა ხუციშვილი, 22. ლაშა მალაღურაძე, 23. ბექა წიკლაური. როგორც ვხედავთ, გუნდს დაუბრუნდა კაპიტანი ირაკლი მაჩხანელი. სამწუხაროდ, ტრავმების გამო ვერ იასპარეზებენ დავით ზირაქაშვილი, მამუკა გორგოძე, ვასილ კაკოვინი და თედო ზიბზიბაძე.

ბელგიელები თბილისში გუშინ გამთენიისას ჩამოფრინდნენ და საღამოს „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ ივარჯიშეს. სტუმართა შემადგენლობაში ქართული წარმოშობის ახალგაზრდა გარემარბი თორნიკე მეგრელიძეც ითამაშებს. ბელგიელები შარშან შინ დამარცხდნენ „ბორჯღალოსნებთან“, ამიტომ სარევანშოდ არაფერს დაიშურებენ. მატჩი „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ დღეს 15 საათზე დაიწყება.

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ
1. საქართველო	5	4	1	0	+74	19
2. რუმინეთი	5	4	1	0	+49	19
3. რუსეთი	5	3	0	2	-6	14
4. პორტუგალია	5	1	1	3	-21	7
5. ბელგია	5	0	1	4	-39	5
6. ესპანეთი	5	0	2	3	-57	5

ერთა თასი. „ბორჯღალოსანთა“ შეხვედრების კალენდარი

1 თებერვალი. საქართველო-ბელგია;

8 თებერვალი. პორტუგალია-საქართველო;

22 თებერვალი. საქართველო-რუსეთი;

8 მარტი. ესპანეთი-საქართველო;

15 მარტი. საქართველო-რუმინეთი.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭიდაობა

პირველები-პარიზში, მეორენი-სტამბოლში

ამ შაბათ-კვირას სტამბოლში ვები ემრეს მემორიალი გაიმართება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ჯემალ ბაკურაძისა და აკაკი ჩაჩუას ხელმძღვანელობით იქ მეორე ნაკრები იასპარეზებს. საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ: ნიკა ცეცხლაძე, ზვიად ოქრაძე (ორივე — 59), ანტონ მამაგეიშვილი (66), მინდია წულუკიძე, გიორგი ჯავახია, ამირან შავაძე (სამივე — 71), თორნიკე ძამაშვილი, გიორგი დათუნაშვილი (ორივე — 80), სოსო ჯაბიძე (98), გურამ ფერსელიძე (130). ტურნირზე საკუთარი სახსრებით მიდიან: ქემალ ხარაბაძე (59), არჩილ თურმანიძე (66), მიხეილ ქაჯაია და ამირან ზარნაძე (ორივე — 98).

საქართველოს ძირითადი ნაკრები მთავარი მწვრთნელის ბეგი დარჩიას ხელმძღვანელობით 8-9 თებერვალს პარიზში „ოქროს დიდი პრიზის“ პირველ ტურნირში იჭიდავებს. საფრანგეთში გაემგზავრებიან: ლაშა გოგიტაძე, გოდერძი დავითაძე (ორივე — 59), რევაზ ლაშხი (66), მანუჩარ ცხადაია (71), ზურაბ დათუნაშვილი (75), გიორგი ცირეკიძე (80), რობერტ ქობლიაშვილი, ვლადიმერ გეგეშიძე (ორივე — 85), ვასილ იმერლიშვილი (98) და იაკობ ქაჯაია (130).

გივი გაგუა

◎ პერსპექტივა

საქართველო და მისი სახელბურთო მომავალი

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია http://ihf.info/MediaCenter/News/NewsDetails/tabid/130/Default.aspx?ID=1868) საქართველოში ამას წინათ გამართული მწვრთნელთა სასწავლო კურსების შესახებ.

„ქართულ ხელბურთს წინ დიდი ამბები ელის: ქვეყანა უახლოეს მომავალში ორ დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. 2015 წელს თბილისში გაიმართება ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, სადაც ხელბურთიცაა ჩართული, ორი წლის შემდეგ კი ქვეყანა ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატს მიიღებს, რომლის მასპინძლობის უფლება მას IHF კონგრესმა 2013 წლის ოქტომბერში დოჰაში მიანიჭა.

საქართველოში ბოლო წლებში ბევრი რამ გაუმჯობესდა. ამას ხელი შეუწყო ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის რამდენიმე პროექტმა ხელბურთის განვითარების ოთხწლიანი გეგმის მიხედვით, რომელიც ქვეყანაში მდგრადი სახელბურთო სტრუქტურების დაფუძნებას ითვალისწინებს.

კიდევ ერთი ეტაპი კი იყო ნოემბერში, თბილისში გამართული სამწვრთნელო კურსები ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამით, რომელშიც მონაწილეობდნენ მწვრთნელები მთელი ქვეყნიდან. თოთხმეტმა მწვრთნელმა წარმატებით დაასრულა კურსი, რომელსაც უძღვებოდა IHF ლექტორი იგორ შესტაკოვი (ნორვეგია) და ის ძირითადად ბავშვთა გუნდების წვრთნის პროცესს შეეხებოდა.

კურსი დღეში 5 მეცადინეობას შეიცავდა — თეორიულს, პრაქტიკულსა და სემინარულს. პრაქტიკულ ვარჯიშებში 13-15 წლამდე ასაკის 50-მდე ხელბურთელი მონაწილეობდა. თერთმეტდღიანი კურსების თემატიკა ვრცელი იყო — ინდივიდუალური საბაზისო ტექნიკით და სათამაშო აზროვნებით დაწყებული, დასრულებული ტაქტიკური სავარჯიშოებით დაცვასა და შეტევაში თამაშის დროს.

თეორიულ მეცადინეობას მოსდევდა პრაქტიკული, შემდეგ კი ვარჯიშის გაანალიზება ლექტორისა და მონაწილეების მიერ. კურსის დამატებითი ნაწილი იყო სამწვრთნელო ფილოსოფია და ნიჭიერი ბავშვების სწორად შერჩევა. როგორც შესტაკოვმა აღნიშნა, ყველა მონაწილე დიდად იყო დაინტერესებული და მოტივირებული“.

2014 წელს საქართველო უნდა შეუერთდეს ე.წ. რინკის კონვენციას, რის შემდეგაც ევროპულ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მწვრთნელთა ლიცენზირების საკითხი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სეზონის წინ

ჩემპიონებმა ტესტები პრობლემებით დაიწყეს

ხერესის ტესტები პრობლემებით დატვირთული გამოდგა ჩემპიონი „რედ ბულისა“ და მისი პარტნიორი „რენოსთვის“. ჯერ იყო და ორი დღე ტრეკზე ტყუილად დაჰყო მსოფლიო ჩემპიონმა სებასტიან ფეტელმა (ორ დღეში მხოლოდ 11 წრის გავლა შეძლო), რომელმაც თავისი სავარჯიშო პერიოდის გასვლისთანავე უკომენტაროდ დატოვა ტრეკი. არც მის ახალ თანაგუნდელ დანიელ რიკიარდოს გაუმართლა, რომელიც პირველივე წრეზე გაჩერდა...

საერთოდაც, რიკიარდოს ტრასაზე გამოსვლა სამი საათით დაგვიანდა, რადგან გუნდი ტექნიკურ პრობლემებს აგვარებდა. მათგან ყველაზე მთავარი ენერგიის აღდგენის სისტემის ელემენტების ბლოკის მწყობრიდან გამოსვლა აღმოჩნდა. თითქოს, პრობლემის აღმოფხვრა მოხერხდა, მაგრამ ტრასაზე გამოსულმა ავსტრალიელმა სულ რამდენიმე მოსახვევის გავლა მოასწრო და მერვემდე ვერც მიაღწია.

რიკიარდომ ერთი საათის შემდეგ კვლავ გამოიხედა ტრასაზე, მაგრამ მხოლოდ ორი წრე გაიარა და ისევ გაჩერდა. ამჯერად გაჩერების მიზეზი გაუხმაურებელი დარჩა. ამასობაში კი მეტოქეებმა ათეულობით წრის გავლა მოასწრეს. მაგალითად, „მერსედესის“ ანგარიშზე უკვე 160 წრეა, „ფერარისაზე“ კი — 104. ორივემ არაერთი აეროდინამიკური კონფიგურაციის გამოცდაც მოასწრო და წვიმის საბურავებისაც, რასაც „პირელი“ დიდი მონდომებით ეშურებოდა და ამისათვის ტესტების მეორე დღეს ტრეკი მოარწყვევინა კიდეც.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ევამ, ბასტიანი არ მიცდუნებიაო...

გერმანელი მოდელი ევა პადბერგი ირწმუნება, სრული აბსურდი და გამოგონილი ჭორია, რომ თითქოს მიუნჰენის “ბაიერნის“ ფეხბურთელთან ბასტიან შვაინშტაიგერთან აქვს რომანი. როგორც ევა ამბობს, ვერ ხვდება რატომ მოუგონეს ასეთი უსინდისო ჭორი მაინცადამაინც მას.

ევა პადბერგი ასევე ამბობს, რომ ცოლიან მამაკაცებთან სექსუალური ურთიერთობა არასოდეს ჰქონია და ამ ურცხვი ნაბიჯის გადადგმას არც მომავალში აპირებს. თუმცა, გერმანელი მოდელი შვაინშტაიგერთან ნაცნობობასაც არ უარყოფს.

„ბასტიანს კარგად ვიცნობ და რამდენჯერმე შევხვედრივარ კიდეც. მასთან მხოლოდ ნაცნობობა მაკავშირებს და სხვა არაფერი. შვაინშტაიგერი ცოლიანი მამაკაცია და ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ვერ ვხვდები, ვის რაში დასჭირდა ასეთი ჭორების გავრცელება“, — ამბობს მშვენიერი ევა.



როსტომ რაჭველიშვილი

◎ კონფლიქტის ზონა

რისთვის იქმნება „მშვიდობის ქართულ-აფხაზური სახლი“

„კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი“ (შსსტ) და კავშირი „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ ენგურის ხიდზე მდებარე ადმინისტრაციული საზღვრის გამშვებ პუნქტთან ახლოს „მშვიდობის ქართულ-აფხაზური სახლის“ დაარსების იდეით გამოდიან. ორგანიზაციების განცხადებით, ეს ნაბიჯი სახალხო დიპლომატიის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და როგორც ქართველი და აფხაზი, ისე სხვა ეროვნების მოქალაქეებისათვის სხვადასხვა საჭირო სერვისების შეთავაზებას გულისხმობს. ამ იდეის განსახორციელებლად ეს ორი ორგანიზაცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს იწყებს.

„მშვიდობის ქართულ-აფხაზური სახლი“, შესაძლოა, იქცეს ნაწილად სახალხო დიპლომატიის ახალი ეტაპისა, რომელიც აუცილებლად უნდა დაიწყოს, - აცხადებს „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი მაია კაციტაძე.

„ეს იქნება თვისებრივად ახალი, თავისუფალი სივრცე ენგურის ხიდთან, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, რომელსაც ერქმევა „მშვიდობის ქართულ-აფხაზური სახლი“, თუმცა, ეს სივრცე, ამავე დროს, განკუთვნილი იქნება ყველასთვის, ყველა იმ მოქალაქისთვის, რომელიც ამ გზას გაივლის და სურვილი გაუჩნდება, რომ რაღაც ინფორმაცია წაიღოს, რაღაც ინფორმაცია კი, პირიქით, სხვებს გაუზიაროს“.

დახმარებისთვის ხშირად გვირეკავენ. აი, მაგალითად, სურთ ხოლმე მკურნალობა, მაგრამ ამ სამედიცინო დახმარების მისაღებად მათ სჭირდებათ ძალიან ბევრი საბუთის გადმოტანა სოხუმიდან იმისათვის, რომ მათთვის კანონით მინიჭებული უფასო მომსახურება მიიღონ...

„ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების“ ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი, რომლის ორგანიზაციასაც ეკუთვნის „მშვიდობის ქართულ-აფხაზური სახლის“ შექმნის იდეა, გვეუბნება, რომ ამ საკითხზე უკვე ერთი წელია მუშაობენ. იდეა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრსაც გააცნეს. მინისტრის აპარატიდან მიღებული წერილობითი პასუხის თანახმად, ის თანხვედრაშია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმასთან. ბენდელიანი აცხადებს, რომ ქართულ-აფხაზურ შერეულ ოჯახებს შორის კონტაქტი დღემდე არსებობს. ყოველდღიურად ენგურის ხიდის გავლით, ორივე მიმართულებით, დაახლოებით 700 ადამიანი გადაადგილდება. აფხაზეთის მხრიდან არაერთი ადამიანი ჩამოდის მკურნალობისა თუ ვაჭრობის მიზნით. ახლა მათკენ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის დროა:

„დახმარებისთვის ხშირად გვირეკავენ. აი, მაგალითად, სურთ ხოლმე მკურნალობა, მაგრამ ამ სამედიცინო დახმარების მისაღებად მათ სჭირდებათ ძალიან ბევრი საბუთის გადმოტანა სოხუმიდან იმისათვის, რომ მათთვის კანონით მინიჭებული უფასო მომსახურება მიიღონ. თუ ეს სახლი იარსებებს, შევეცდებით, ბევრი პრობლემა იქვე გადავუჭრათ, საჭირო ინფორმაციით მოვამარაგოთ“.

რეზო ბენდელიანი ასევე აცხადებს, რომ ამ პროექტში ჩართვის სურვილს აფხაზეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებიც გამოთქვამენ.

კონკრეტულად რა მომსახურებას მიიღებს ხალხი „მშვიდობის ქართულ-აფხაზურ სახლში“, რომელიც, პროექტის წარმატებულად განხორციელების შემთხვევაში, ენგურის ხიდთან ახლოს განთავსდება? მაია კაციტაძე განმარტავს, რომ იქ იქნება ყველა ის სერვისი, რომელიც ხალხის საჭიროებას დააკმაყოფილებს — მათ შორის, იურისტის, ფსიქოლოგის კონსულტაცია, საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება სხვადასხვა საკითხის შესახებ და ა.შ.

მამით რუსი და დედით ქართველი კატო ვოლგინა წარმოშობით გაგრიდანაა. მან სკოლა იქ დაამთავრა და სწავლა თბილისში გააგრძელა. მისი მშობლები ახლაც გაგრაში ცხოვრობენ. თავად კატოს უკვე 15 წელია უწევს ენგურის ხიდის გავლით მიმოსვლა:

„ჩემს გარდა კიდევ უამრავ აფხაზს ვიცნობ, რომელიც ენგურის ხიდით სარგებლობს, მათ შორის ბევრია მოხუციც. მათ ხშირად ექმნებათ პრობლემები, თუნდაც ენის თვალსაზრისით, როცა ხიდზე გადმოდიან. მათ არ იციან ქართული. აი, ასეთ დეტალებზე თუ გამახვილდება ყურადღება და მათ ეს მიმოსვლას შეუმსუბუქებს, რატომაც არა, მე მხოლოდ მივესალმები იქ ასეთი ცენტრის არსებობას“.

ზურაბ ბენდიანაშვილი კი, თავმჯდომარე კოალიციისა „დევნილთა უფლებებისათვის“, მიიჩნევს, რომ საინფორმაციო კონსულტაციებზე მეტად ენგურის ხიდით მოსარგებლე ხალხს კანონმდებლობის ლიბერალიზაცია უფრო სჭირდება, რომ ტვირთის გადატანაში პრობლემები არ შეექმნას.

მომდევნო კვირიდან „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი“ (შსსტ) და კავშირი „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ ამ იდეის დეტალების გასაცნობად შეხვედრებს გამართავენ ყველა იმ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომელიც „მშვიდობის ქართულ-აფხაზური სახლის“ შექმნაში თანამონაწილეობას გადაწყვეტს.

ეკა ძევანიშვილი,
რადიო „თავისუფლება“

◎ ღირს დაფიქრებად

რუსეთის მთავარი ბრენდი სტალინია?

გვესაუბრება ისტორიკოსი, რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის წევრი ნიკოლოზ სვანიძე (მასალა გადმობეჭდილია გაზეთიდან „არგუმენტი ი ფაქტი“):

მეცნიერებმა გამოაქვეყნეს ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურების სია. იგი შედგა გაზეთების პუბლიკაციების, ინტერნეტ-წიგნების და სხვა რესურსების ანალიზის საფუძველზე. სიას სათავეში უდგას იესო ქრისტე, მას მოჰყვებიან ნაპოლეონი და წინასწარმეტყველი მუჰამედი, შექსპირი და აბრაამ ლინკოლნი. ჰიტლერმა მე-7 ადგილი დაიკავა. ამ რეიტინგში არიან მოცარტი, ბეთჰოვენი და ელვის პრესლიც ჯონ ლენონთან ერთად. მაგრამ რუსეთის ისტორიის ყველა ფიგურიდან ადგილი ამ სიაში მხოლოდ იოსებ სტალინისთვის აღმოჩნდა.

სტალინს 18 სტრიქონი უჭირავს. თითქოსდა, რეიტინგში რატომ არ არიან მთელ მსოფლიოში სხვა სახელგანთქმული ფიგურები — პუშკინი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩაიკოვსკი, ლენინი, გაგარინი? რამდენადაც ეს სამწუხარო არ უნდა იყოს, მმართველები, განსაკუთრებით სისხლში გასვრილები, ჩვეულებრივად უფრო ცნობილები არიან, ვიდრე მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. იქნებ, ათასწლეულების ისეთი გენიოსების გამოკლებით, როგორებიც არიან შექსპირი ან ლეონარდო და ვინჩი. პოლიტიკოსებს გაცილებით მეტი აქვთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ციტირების ინდექსი.

ჰიტლერმა დაღუპა ყველაზე მეტი ადამიანი უახლეს ისტორიაში, და ჯერ კიდევ ცოცხალია თაობა, რომელსაც ახსოვს მისი სისხლიანი საქმიანობანი. აი, ნაპოლეონი კი, ვის სინდისზეც უამრავი მოკლული ფრანგია, საფრანგეთის ეროვნულ გმირად ითვლება. გასაგებია სიაში სტალინის მოხვედრაც. ჩვენ თავადაც პირველ ადგილზე სწორედ მას ვაყენებთ, და არა ლიტერატურის ან ხელოვნების გენიოსებს. როდესაც ეწყობოდა კონკურსი „რუსეთის სახელი“, სტალინი ლიდერებში აღმოჩნდა. თუმცა, შემდეგ მას ალექსანდრე ნეველმა გაუსწრო, მაგრამ საზღვარგარეთ მას არ იცნობენ... ლენინი, სტალინისგან განსხვავებით, ქვეყანას ცოტა ხნით მართავდა და დროთა განმავლობაში ნახევრადმითიური ფიგურა გახდა. უკანასკნელ ხანებში ის რუსეთელებისთვისაც უფრო მეტად ასოცირდება მავზოლეუმთან, ვიდრე რეალურ ისტორიასთან.

ანდა ავიღოთ გაგარინი — ქვეყნის კოსმოსურ მიღწევათა განსახიერება. მაგრამ, კოსმონავტიკის განვითარების კვალობაზე, ამერიკელი ასტრონავტების მთვარეზე დაშვების შემდეგ, მსოფლიო მასშტაბში ეს სახელიც ნაკლებად პოპულარული გახდა. თანაც უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ტექნიკური პროგრესის გიგანტური გარღვევის შემდეგ კოსმონავტიკა თავისთავად აღარაა პირველ ადგილზე ადამიანთა გონებაში.

და მაინც კარგია, რომ ამ რეიტინგში პირველ ადგილზე იესო ქრისტეა. წინასწარმეტყველი მუჰამედიც პირველ სამეულშია. მადლობა ღმერთს, რომ ისინი, ვინც აბსოლუტურ სიკეთესთან ასოცირდებიან, არიან ლიდერებში!

სანთელი

დიმიტრი დუნდუა

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით წარუშლელ კვალს ტოვებენ ცხოვრებაში. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლდათ გულისხმიერი, სულით ხორცამდე პატრიოტი პიროვნება DIMITRI DUNDUA, რომელიც ორ ათეულ წელიწადზე მეტ ხანს ედგა სათავეში საქართველოს ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციას. ბოლო 15 წლის განმავლობაში გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს ისე არ ჩაუვლია, რომ ბატონ დიმიტრის ქართველი სპორტსმენები საინგილოში არ წაეყვანოს და იქ ადგილობრივ ქართველებსა და აზერბაიჯანელებთან ერთად ქართულ ჭიდაობაში, მკლავჭიდსა და საჯილდაო ქვის აწევაში შეჯიბრებები არ ჩაეტარებინოს. დიდი სიყვარულით სარგებლობდა, პატივს სცემდნენ დღემუდამ სიკეთის მთესველს.

ამიერიდან ახლობლები და მეგობრები დიმიტრი დუნდუას სახელს, სამწუხაროდ, მხოლოდ წარსულში მოიხსენიებენ, რადგან აღარ არის ჩვენ შორის გულისხმიერი პიროვნება, თუმცა ადამიანებს მუდამ ემახსოვრებათ მისი საშვილიშვილო საქმეები და მადლიერი შთამომავლობა მის სახელს არასდროს დაივიწყებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის განყოფილება

გურამ გოგიაშვილი ოჯახით დიდი მწუხარებით ვუსამძიმრებ სიყრმის მეგობარს მავრი ზალდასტანიშვილს 35 წლის ვაჟკაცი შვილის, დიდი და სახელოვანი პაპის სეხნიის

სერგოს

გარდაცვალებას და ვწუხვარ, რომ სანუგეშო სიტყვებს ვერ ვპოულობ.

დალილა მიქელაძე, მერაბ, ირინე, ნიკუშა მანჯგალაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სერგი მავრის ძე ზალდასტანიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ოპტიმალური მართვის პრობლემების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ვილგელმ მაისურაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

დუნდუებისა და დონდუების საგვარეულო კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა საგვარეულო კავშირის წინამძღოლი

დიმიტრი დუნდუა

და სამძიმარს უცხადებს დებს რუსუდანს, აზას და სხვა ჭირისუფალთ.

გულისვარდ, გიორგი, მევლუდ დუნდუები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, ბევრი კარგი ეროვნული საქმის წამომწყები და ორგანიზატორი

დიმიტრი დუნდუა

და სამძიმარს უცხადებენ დებს რუსუდანს, აზას და სხვა ჭირისუფალთ.

მურმან დუნდუა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის ახლო მეგობარი, ნიჭით, ცოდნითა და სიკეთის კეთებით გამორჩეული პიროვნება

დიმიტრი დუნდუა

და სამძიმარს უცხადებს დებს რუსუდანს, აზას და სხვა ჭირისუფალთ.

რუსუდან პიტავა, ჟანა, ნონა, თემურ ბრელიძეები, მარინა კანდელაკი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან ახლობელი ადამიანის, ღირსეული პიროვნების

დიმიტრი დუნდუას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ დებს რუსუდანს, აზას და სხვა ჭირისუფალთ.

საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი — ამინდის გრძელვადიანი პროგნოზების განყოფილების უფროსი ქალბატონი

მარიამ ალექსიშვილი

მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამშრომლების მეხსიერებაში.

◎ სულიერება

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის „მანუგეშებელი“ დღესასწაული

2 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ღვთისმშობლის ხატის „მანუგეშებელი“ ხსენებას, რომელსაც „ვათოპედის“ ხატსაც უწოდებენ.

ღვთისმშობლის ხატი „მანუგეშებელი“ ათონზე, ვათოპედის ხარების ეკლესიაში იმყოფება. ამ უძველესი ხატის შექმნის ისტორია ასეთია: ხარების ეკლესია აიგო კონსტანტინე დიდის მეფობის დროს. სწორედ მონასტრის სიახლოვეს, 395 წელს უფლისწული არკადი გემბანიდან გადავარდა და დიდი ძებნის შემდეგ მონასტრის ახლოს, ბუჩქის ძირას იპოვეს.

..ვათოპედი – ბერძნულად ნიშნავს ყმაწვილის ბუჩქს. ყმაწვილმა (უფლისწულმა) ყველას უამბო, თუ როგორ იხსნა იგი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა სასწაულებრივად. სწორედ იმ ბუჩქის ადგილას აღიმართა ტაძრის საკურთხევლის ნაწილი.

807 წელს ყაჩაღთა ბანდას მონასტერზე თადასხმა ჰქონდა განზრახული, წინამძღვარს ხატიდან მოესმა ხმა, რომელმაც მონასტრის კარიბჭის გაღება აუკრძალა. ამ წუთებში ხატი სასწაულებრივად შეიცვალა, თითქოს გაცოცხლდა, ყრმამ ყოვლადწმინდა დედას ხელი ააფარა ბაგეზე, მაგრამ ქალწულმა მარიამმა პირი იბრუნა და გაფრთხილება გაიმეორა. შეძრწუნებულმა ოღუმენმა ძმებს მოუხმო და ყველამ იხილა, რომ ღვთისმშობლის გამოსახულება ყრმა უფლის ხელს არიდებდა სახეს.

„ვათოპედი“ ანუ „მანუგეშებელი“ ავადმყოფთა შემწედ ითვლება.

გიული ლიპარტია

◎ დაიჯესტი

რატომ ტირიან ჩვილები?

დაბადებისთანავე ჩვილებს ეგრეთ წოდებული „ბაზალური ცრემლი“ სდით – ესაა ხორკლიანი რქოვანით ჩამომდინარე სითხე, რომელიც მას უფრო გლუვს ხდის და ინფექციებისგან იცავს.

თვენახევრის შემდეგ ბავშვებს ცრემლის ჯირკვლების ჩამოყალიბება უსრულდებათ და ისინი ტირილს „ნამდვილი“ ცრემლებით იწყებენ. გულამოსკვნით ტირილის დროს ბავშვი 13 პროცენტით მეტ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე მშვიდ მდგომარეობაში. რას მოითხოვენ პატარები ტირილისას? ამის თაობაზე ოჰაიოს შტატის სამედიცინო უნივერსიტეტის მეცნიერებმა გარკვეული მოსაზრება წამოაყენეს.

ბავშვის გენეტიკურ მეხსიერებას ის დიდი ხნის

ამბავი შემორჩა, როცა დედას მუდამ თან დაყავდა. ფიზიკური კონტაქტის არარსებობა პატარაში შფოთვას იწვევს, რაც მიტოვების შეგრძნებითაა გამოწვეული. ხმამაღალმა ტირილმა მშობელს მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეაცვლევინოს, ანდა სხვას მისი შვილად აყვანა მოანდომოს.

მკვლელობის ჰიპოთეზა

ხმამაღალი ტირილით ბავშვს სურს, რომ თქვას: „მე საკმარისად ძლიერი ვარ, რომ ვიცოცხლო“. წინააღმდეგ შემთხვევაში მშობლებს იგი შეიძლება სუსტი ჰგონებოდა და ზედმეტი ტვირთი თავიდან მოეცილებინათ.

კონკურენციის ჰიპოთეზა

გამუდმებით მტირალა ბავშვი ხელს უშლის თავისი მომავალი დებისა და ძმების ამქვეყნად მოვლენას, რომლებიც საკვების უკმარისობის პირობებში მისი კონკურენტები გახდებოდნენ. სხვათა შემთხვევაში მჩხავანა ბავშვის კვება უფრო ხშირად იყო საჭირო, რაც დედის ჰორმონალურ მდგომარეობას ცვლიდა და, როგორც შედეგი, ხელს უშლიდა ახალი ნაყოფის ჩასახვას.

იძულებით კვების ჰიპოთეზა

პირველყოფილ ოჯახში ბავშვის ხმამაღალ ტირილს სადგომთან მტაცებლების მოზიდვა შეეძლო, ამიტომაც მის დასაშოშმინებლად მაშინვე ძუძუს აწოვებდნენ.

ბედნიერების ორი ასაკი

ყველაზე ბედნიერად კაცი თავს 23 და 69 წლის ასაკში გრძნობს.

ლონდონის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის მეცნიერებმა ვრცელი სოციოლოგიური გამოკითხვის დროს გამოარკვიეს, რომ ახალგაზრდობაში ადამიანები იმედიანად არიან და დარწმუნებულნი არიან, რომ მათი ცხოვრება დღითი დღე უკეთესი გახდება, სიბერეში კი ადამიანები იმას აფასებენ, რაც აქვთ.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთინეთ ვარსებებთან

„ოთანაძის და კრიალაშვილის ლიკვიდაცია ადრე იყო დაგეგმილი“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დეპუტატი ნუკრი ქანთარია, ეხმაურება რა ტელევიზიით გავრცელებულ სკანდალურ ჩანაწერს, აცხადებს, რომ მაისში ე. წ. ამბოხამდე ერთი კვირით ადრე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გია კრიალაშვილისა და ოთანაძის ლიკვიდაციას გეგმავდნენ. ეს ინფორმაცია მან მიტინგზე გააჟღერა და თქვა, რომ ასეთი ინფორმაცია იყო. – ამ ინფორმაციის შედეგი, ფაქტობრივად, არის ბრძანების გაცემა ადამიანების ლიკვიდაციაზე. ჩვენ ვიხილეთ, რომ ეს ინფორმაცია გავრცელდა, ოღონდ ვის მიერ, არ ვიცი. ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია.

დეპუტატი ქანთარია დარწმუნებულია, რომ პროკურატურა, სათანადოდ გამოიძიებს ყველა დეტალს.

„ახალი თაობა“

პოლიტიკურ ბრძოლას შეწირული დედაძალაძე

საბავშვო ბაღების დაფინანსება, ქალაქის დასუფთავება, შეღავათიანი ტარიფი ტრანსპორტში 600 ათასი სტუდენტისა და სოციალურად დაუცველებისთვის, ინფრასტრუქტურული პროექტები, ავარიული სახლების გამაგრება, გაჭირვებული მოსახლეობის დახმარება, გამგეობების მიერ დაგეგმილი პროგრამები, – ეს იმ სამუშაოების არასრული ჩამონათვალია, რომელთა შესრულებასაც საფრთხე თებერვალში თბილისის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში დაემუქრება. პოლიტიკური ბრძოლისა და ჭიდილის ფონზე, მაშინ, როცა დაპირისპირებული მხარეები – მერია და საკრებულო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობას ერთმანეთს

აბრალებენ და პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ, რიგით თბილისელს ყოველდღიური საფრთხე რეალურად დაემუქრა.

„რეზონანსი“

საფრანგეთის ხელისუფლება მოძალაძეებს აფრთხილებს, აფხაზეთში რუსეთის ტერიტორიიდან არ შევიდნენ

როგორც საფრანგეთში საქართველოს საელჩოს ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის ოფიციალურ გვერდზე რუბრიკაში: „რჩევები მოგზაურთათვის“, საფრანგეთის მოქალაქეების საყურადღებოდ დამატებით გაფრთხილებას ავრცელებს.

„სოჭის ზამთრის ოლიმპიადის მოახლოებასთან დაკავშირებით, შეგახსენებთ, რომ საქართველოს სეპარატისტული რეგიონის, აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილება კატეგორიულად არარეკომენდებულია. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი პიროვნება, რომელიც ამ რეგიონის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან გადაკვეთს საზღვარს, არღვევს საქართველოს კანონმდებლობას და ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ დევნას“.

„ვერსია“

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– **შეგიძლიათ** რამე მითხრათ მეჩვიდმეტე საუკუნის გამოჩენილ ქიმიკოსებზე? – ეკითხება პროფესორი სტუდენტს.

– მიჭირს თქვენთვის ამის თქმა, პროფესორო, მაგრამ ისინი ყველანი გარდაიცვალნენ...

* * *

– **მუმზადებელი** მოსულხართ გამოცდაზე! – საყვედურობს პროფესორი სტუდენტ გოგონას – ორიანს გიწერთ. თქვენი სახის პატრონი გათხოვებაზე უნდა ფიქრობდეთ და არა უმაღლეს მათემატიკაზე!

თვალცრემლიანი გოგო გასასვლელისკენ მიდის. პროფესორი უყურებს და ეძახის:

– მობრუნდით, მომეცით ჩათვლის წიგნაკი, ორიანს ოთხიანად გადაგიკეთებთ, – ასეთი კაჭა ფეხების პატრონი ქმარს ვერ იშოვით.

* * *

– **მამი**, მომეცი რა ლარიანი, საწყალ მოხუცებულს მივცემ, – ცმუკავს პატარა მიხო.

– ოი, შე ჩემო კარგო! აბა, სად არის ის მოხუცი?

– ეგერ კუთხეში, ნაყინს ყიდის!

* * *

– **წუხელ** საშინელი ღამე მქონდა! – წუწუნებს დაქალთან სვეტა, – ბანკეტზე ბევრი დავლიე და როდესაც პეტკასთან ერთად განვმარტოვდით, იმ საძაგელმა ჩემი უმწეო მდგომარეობით ისარგებლა!

– როგორ! ნუთუ?!

– არა, რას ამბობ! უარესი ქნა – გაიქცა!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარვეჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24